

ამირან რობაქიძის პროცესი და დაპირისპირება სასამართლოს ეზოში
A2



ომი და მშვიდობა
A6



იტალიაზე შეყვარებული
A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2006 წელი. №178 (1330)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

# "მშვიდობის მტრედების" საომარი რიტორიკა

*კოდორის ხეობაში განხორციელებულმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. სოხუმში ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების განახლებას აპირებს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა იმუქრება, რომ "საქართველოს მხრიდან კოდორის მსგავსი პროვოკაციის შემთხვევაში, აფხაზეთი ადეკვატურ ზომებს მიმართავს". მისივე მტკიცებით, აფხაზებმა რუსეთისგან შესაბამისი გარანტიები უკვე მიიღეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



როგორც ჩანს, გრიგორი კარასინს თავი მშვიდობის მტრედად წარმოუდგენია.

# ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

### სააკაშვილი კერძო არბიტრაჟის ახალი მოდელის ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდის

*საქართველოს მთავრობა, თავად ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ბიზნესმენებს თამაშის ახალ წესებს სთავაზობს - ის მეწარმეების უფლებების დასაცავად არბიტრაჟის ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდის. სააკაშვილი საგადასახადო დავების განსახილველი არბიტრაჟის ამოქმედებას მომავალი წლიდან ვარაუდობს. "გვჭირდება არბიტრაჟი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ერთი წლის წინათ ჩამოვაყალიბეთ," - აცხადებს ქვეყნის მეთაური.*

დიანა ჩაჩუა

ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების პერიოდში, მთავრობის წარმომადგენლებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ, რომ კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი მეწარმეებს გამკაცრებული ადმინისტრირებისაგან დაიცავდა და მას კოდექსის ყველაზე პროგრესულ ნორმას უწოდებდნენ. შესაბამისად, კოდექსიდან კერძო არბიტრაჟის ამოღება ბიზნესის და რიგი ექსპერტების განაწყენების საფუძველი გახდა.

**"საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟებში განხილვის იდეა, რაც კოდექსის განხილვის საწყის ეტაპზევე გამოითქვა, იმ სიახლეთაგანი იყო, რომელსაც ქართული ბიზნესი საკმაოდ დიდი ოპტიმიზმით შეხვდა. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხში სახელმწიფო სტრუქტურებისა და საქმიანი წრეების პოზიცია სავსებით იდენტური იყო, რამაც ჰპოვა კიდეც ასახვა საგადასახადო კოდექსის საბოლოო ვერსიაში. საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟებში განხილვის პრაქტიკაზე უარის თქმა კი ბიზნესისა და სახელმწიფოს პარტნიორული ურთიერთობების გამყარებისკენ მიმართულ ნაბიჯად ნამდვილად არ შეიძლება მივიჩნიოთ,"** - ასეთი განცხადებით მიმართეს მაშინ "ბიზნესმენთა ფედერაციაში" შეკრებილმა ბიზნესმენებმა და ექსპერტებმა ხელისუფლებას.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ლიანა ისაკაძის ორი იუბილე

### "ხელოვნების ზეიმი" წელს კვლავ ბათუმში გიმართება

A6




ლიანა ისაკაძე ფესტივალის ორგანიზატორებთან ერთად.

# რატომ არ იცვლება ტრადიციული არჩევანი ცუდსა და უარესს შორის

ია ანთაძე

თუ გოგა ხაინდრავა ან ბადრი პატარკაციშვილი ოპოზიციის საერთო კანდიდატი გახდება თბილისის მერის პოსტზე, ეს გადაწყვეტილება დაადასტურებს, რომ დღევანდელ ოპოზიციას თვითმყოფადი სახე არ გააჩნია. ამ საკამათო თვალსაზრისის დასაბუთებას ქვემოთ შევეცდები.

მცირედი მონდომებაა საჭირო ერთი მარტივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად, რომელსაც ჩვენს მკითხველს შევთავაზებ და თან - წინასწარ - საკუთარ გამოცდილებას გავუზიარებ: როცა ადამიანებს ზოგადად ეკითხები, როგორ მიდის საქმე ქვეყანაში, ხელისუფლების მიმართ ნდობით განწყობილ კაცს ადვილად ვერ იპოვი; მაგრამ, როცა კონკრეტულად ეკითხები, თბილისის მერად ვის ისურვებდა, ნახევარზე მეტი საკუთარ საარჩევნო ხმას უფრო გიგი უგულავასთვის იმეტებს, ვიდრე მისი შესაძლო კონკურენტებისთვის.

ბოლო ხანს თბილისში ზოგიერთი რამ ისეთი კეთდება, რაც აქაურ მოქალაქეს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ დადებითად განაწყობს: გზები, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ნაგვის ახალი კონტეინერები, სპორტული მოედნები, განათება, სადარბაზოების საკეტები... მაგრამ, კონკრეტული საქმეების ჯამი ზოგად სურათს ვერ ცვლის. კოდორელების მიმართ ყურადღება, ჩოლოქის ლამაზი ბაღი თუ ბათუმის შადრევანი ისევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ადამიანების ნდობა მოიპოვოს. საარჩევნო ხმის მოსაპოვებლად კი, შესაძლოა, საკმარისიც აღმოჩნდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თვითმმართველობის არჩევნების კონტურები

*ხელისუფლება არჩევნების დეკემბერში ჩატარებას საბიუჯეტო წლის დასრულებით ხსნის. მიუხედავად საპარლამენტო ბოიკოტისა, ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობისთვის სრულ მზადყოფნას აცხადებს.*

ნათია მსხილაძე

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების განცხადებით, ხელისუფლების გადაწყვეტილებაში ერთადერთი პოზიტივი ის არის, რომ პოლიტიკურმა სუბიექტებმა უკვე იციან არჩევნების ჩატარების დრო.

როგორც "მრეწველები" აცხადებენ, არჩევნების დეკემბერში ჩატარება ხელისუფლების პიარ-კამპანიის შემადგენელი ნაწილია. **"არჩევნებამდე გახსნიან წმინდა გიორგის ძეგლს თავისუფლების მოედანზე და მორიგ გზას. ასევე, 23 ნოემბერს "ვარდების რევოლუციის" მესამე წლისთავს პომპეზურად აღნიშნავენ და ამ ფონზე ჩაატარებენ არჩევნებს"**, - აცხადებს საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი.

"მემარჯვენე ოპოზიციის" მტკიცებით კი, დეკემბერში არჩევნების ჩატარება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ძალზე გაძნელდება. **"საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ხელისუფლებას არჩევნების ჩატარება სვანეთში, ზემო რაჭაში, აჭარის მთიანეთში ან თუნდაც წალკაში?"** - კითხულობს მამუკა კაციტაძე.

ჯერჯერობით ოპოზიციას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია ერთიანი კნდიდატის თაობაზე. **"პარტიულად ნეიტრალურ კანდიდატებს რაც შეეხება, იყო დასახელებული გოგა ხაინდრავა და ბადრი პატარკაციშვილი. სხვებზეც იყო საუბარი, თუმცა მაინც დახურული ფორმატით ვმუშაობდით და არ ჩავთვალეთ საჭიროდ გარეთ გამოგვეტანა უცნობი გვარები. პარტიული კუთხით კი, დასახელდა კობა დავითაშვილის, თინა ხიდაშელის, გოგი თოფაძის კანდიდატურები"**, - აღნიშნა მამუკა კაციტაძემ. მისივე თქმით, გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული პრინციპზე - ეს იქნება პარტიული, თუ ზეპარტიული ლიდერი, რომელიც აწყობს როგორც ბლოკის მონაწილე პარტიებს, ისე საზოგადოებას. გარდა ამისა კანდიდატი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩაშლილი გაქცევა

*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა და იუსტიციის სამინისტროს სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლებმა ქუთაისის N2 საპყრობილის მეორე სართულზე, 211-ე საკანში 14 მეტრის სიგრძის გვირაბი აღმოაჩინეს, საიდანაც რამდენიმე დღეში პატიმრების მასობრივი გაქცევა იგეგმებოდა.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

გაქცევის ორგანიზების თაობაზე აღიარებითი ჩვენება გამოძიებას უკვე მისცა 211-ე საკნის ოთხივე პატიმარმა. მკვლელობისთვის მსჯავრდებულ ბესიკ გოგოლაშვილს, მიხეილ მელაშვილს, ნუგზარ ნასარიშვილსა და ალექსანდრე კიკნაძეს დამატებით კიდევ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ბესიკ გოგოლაშვილის აღიარებითი ჩვენების ნაწილის ვიდეოჩანაწერი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა პრესისთვისაც გაავრცელა. გოგოლაშვილი ამბობს, რომ გვირაბის გათხრას თანამესაკნეებთან ერთად, დაახლოებით, 20 დღის წინ შეუდგა რკინის მოკაუჭებული ჯოხებით, რომლებიც პატიმრებმა მაგიდის ფეხებისგან დაამზადეს.

**"ამ ტიპის გვირაბი ნამდვილად არ შეგვხვედრია სხვა ციხეებში: გათხრა დაწყებული იყო მე-2 სართულიდან და გვირაბის პირველ ნაწილად გამოყენებული იყო საჰაერო მოწყობილობა - ე.წ. ვენტილაცია, რომელიც ყველა საკნის საპირფარეშოშია დამონტაჟებული. ეს გვირაბი ისე იყო გათხრილი, რომ მასში რამდენიმე ადამიანს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება. ამდენად, თუ გვირაბს წარმატებით გაიყვანდნენ, რამდენიმე ასეული ადამიანი შეიძლებოდა გასულიყო აქედან. ჩვენი წინასწარი ინფორმაციით, გვირაბის გათხრაში, დაახლოებით, 100-მდე ადამიანი მონაწილეობდა, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ოთხია ექვმიტანილი"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ.

ახალაია აღნიშნულ დანაშაულში არც მისი უწყების თანამშრომელთა თანამონაწილეობას გამორიცხავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკა

### რუსეთისა და მოლდოვას პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდებიან

მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შეხვდება. მხარეები მოლდავურ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილ პრობლემებს განიხილავენ.

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 9/08 | 10/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 42 | 42 |
| ბათუმი | 36 | 37 |
| სოხუმი | 34 | 36 |
| ქუთაისი | 40 | 42 |
| გორი | 36 | 37 |
| ონი | 28 | 32 |
| ზუგდიდი | 37 | 40 |
| ახმეტა | 42 | 41 |
| სამტრედია | 38 | 41 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7600 |
| ევრო | 2.2590 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3535 |
| რუბლი | 0.0658 |

სამართალი A 2
პოლიტიკა A 3
ბიზნესი A 4
პროექტი A 5
რევიუ A 6
ტენდერი A 7
სპორტი A 8

## მოკლედ

### პრობაციის ოფიცერი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთობლივი ოპერაციის შედეგად ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თანამშრომელი გიორგი რაზმიაშვილი. გამოძიების მასალების მიხედვით, პრობაციის ბიუროს თანამშრომელმა გიორგი რაზმიაშვილმა ერთ-ერთ პრობაციონერს, გარკვეული შეღავათების გაწევის სანაცვლოდ, 200 აშშ დოლარი გამოსძალა.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ალექსანდრე არაყიშვილის განცხადებით, ეს ოპერაცია ცხადყოფს, რომ სისტემაში კორუფციის აღმოსაფხვრელად იუსტიციის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინირებულად მუშაობს და ამგვარ უკანონობაში ჩართული ნებისმიერი თანამშრომელი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მერაბ კოსტავას და ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტები მოიპარეს

თბილისში, ვერის პარკში დაუდგენელმა პირებმა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას ბიუსტი მოიპარეს.

თვითმხილველთა თქმით, ოთხმა ადამიანმა ბიუსტი ჩაქუჩებით მოანგრია და გაურკვეველი მიმართულებით წაიღო. ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ბიუსტი 70 კილოგრამს იწონიდა.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი დედაქალაქის ჯართის მიმღებ პუნქტებს აფრთხილებს, არ ჩაიბარონ აღნიშნული ბიუსტი.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, ე.წ. "სოკოს ბაღიდან" კი ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის ბიუსტი მოიპარეს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინფორმაციით, ბიუსტის მოპარვის შესახებ შეტყობინება მათ 7 აგვისტოს მიიღეს. **მედიანიუსი**

### ორი პატიმარი გარდაიცვალა

პატიმარი, 31 წლის ვეფხია შუკაკიძე ფილტვების შეშუპებით გარდაიცვალა. ვეფხია შუკაკიძე ფილტვების შეშუპების დიაგნოზით კომატოზურ მდგომარეობაში 7 ივლისს სასწრაფო წესით გადაიყვანეს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. მისი გარდაცვალების მიზეზი უცნობი ეტიოლოგიის გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა და ფილტვების მწვავე შეშუპება გახდა.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების ეროვნულ ცენტრში კი პატიმარი, 32 წლის კახა ბენაშვილი გარდაიცვალა. ექიმებმა მას მარცხენა ფილტვის ინფილტრაციული ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტის დიაგნოზი დაუსვეს.

ბენაშვილი ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის 2005 წელს დააპატიმრეს. 2006 წლის ივნისში ავადმყოფი პატიმარი თბილისის N5 საპყრობილედან ჯერ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, შემდეგ კი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს. **24 საათი**

### იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგი

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა სამინისტროს გურიის ტერიტორიული სამსახურების მონიტორინგს ატარებს. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე გურიის რეგიონში გაემგზავრა, სადაც სამი დღის განმავლობაში სამინისტროს ტერიტორიული სამსახურების მუშაობას და იქ არსებულ პრობლემებს გაეცნობა.

სამსახურების მუშაობის ადგილზე გაცნობის პარალელურად, გივი მიქანაძე ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდება და მათგან სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მუშაობის შეფასებას მოისმენს. სამინისტროს ხელმძღვანელობამ ასეთი მონიტორინგი უკვე ჩაატარა სამეგრელოს, კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონებში. შემოწმების შედეგად რამდენიმე რაიონში ოფისების შენობის პრობლემა გადაწყდა. უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების გამო, დადგა რამდენიმე თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სააღსრულებო დეპარტამენტის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის, სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურები, ასევე - ნოტარიუსები. **24 საათი**

### მოსამართლეების შერჩევის ახალი სისტემა

მოსამართლეების შერჩევისა და მომზადების ახალი სისტემა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფარგლებში 2007 წლიდან ამოქმედდება. ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა. პროგრამის პირველ ეტაპზე მოხდება მოსამართლეთა შევსება ახალი კადრებით, რაც მათ რაოდენობას არანაკლებ 400-მდე გაზრდის.

შერჩევის ახალ მოდელში კონკურსის გავლის შემდეგ კანდიდატი პირდაპირ არ დაინიშნება მოსამართლედ. იგი ჩაირიცხება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და გაივლის 14-თვიან ფუნდამენტურ მომზადებას სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამ კურსის გავლის შემდეგ მომზადებული მოსამართლე, ყოველგვარი გასაუბრებისა თუ კონკურსის გარეშე, წარედგინება პრეზიდენტს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად. **ინტერპრესნიუსი**

### ნოტარიუსების შემოწმება

იუსტიციის სამინისტროს კომისია ნოტარიუსებს ამოწმებს. იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის ბრძანებით, ნოტარიუსების სამსახურებრივი საქმიანობის შემოწმების მიზნით შექმნილია კომისია, რომლის წევრები ამჟამად თბილისის ნოტარიუსების საქმიანობას ამოწმებენ.

იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის დეპარტამენტის ინფორმაციით, 14 აგვისტოდან დაიწყება გურიისა და სამეგრელოს რეგიონების ნოტარიუსთა საქმიანობის შემოწმება.

მონიტორინგის მიზანია სანოტარო მოქმედებების შესრულებისას შესაძლო ხარვეზების აღმოჩენა. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ნოტარიუსთა მიმართ დისციპლინარული ღონისძიებები გატარდება. **ინტერპრესნიუსი**

### ფინანსურმა პოლიციამ ირანის მოქალაქე დააკავა

ფინანსური პოლიციის პირველმა ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველომ წინასწარ მიღებული ინფორმაციის შედეგად ირანის მოქალაქე ჰასან ყასაბი დააკავა. ჰასან ყასაბი შპს "მერიდიანის" დირექტორია და საქართველოში, თითქმის 1 წელია, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, რომ ჰასან ყასაბმა ტვირთი, საბაჟო "წითელი ხიდის" გავლით, ზაჰესის ტერმინალში განსაბაჟებლად შეიტანა და საბაჟო დეკლარაციაში ყალბი სასაქონლო კოდის გამოყენებით თავი აარიდა დამატებით ღირებულების გადასახადს. ამის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა 50 000 ლარით იზარალა. ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით მიმდინარეობს. ჰასან ყასაბი საბაჟო წესის დარღვევის მუხლით არის დაკავებული და ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. **ინტერპრესნიუსი**

### სარფის საბაჟოზე მოქალაქე დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის განცხადებით, რეგიონული სამმართველოს "ბათუმის" სასაზღვრო სექტორ "სარფის" ტერიტორიაზე მესაზღვრეებმა დააკავეს მოქალაქე, რომელსაც პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა.

იგი თურქეთიდან საქართველოში შემოსვლას სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილების გვერდის ავლით ცდილობდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**

### აზერბაიჯანული სააგენტოს ინფორმაცია

საქართველოში მოქმედმა აზერბაიჯანულმა ეროვნულმა ასამბლეამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ასამბლეა ქართველ სამართალდამცველებს თავისი წევრების ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. აღნიშნული განცხადება აზერბაიჯანულმა გამოცემა Day.az-მა გაავრცელა. განცხადების მიხედვით, ქართველმა სამართალდამცველებმა საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანული ეროვნული ასამბლეის სამი წევრი დააკავეს. აღნიშნული ორგანიზაციის ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ პოლიციელებმა დაკავებულებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ასამბლეის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, 8 აგვისტოს, დილით მარნეულში საქართველოს შსს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ძალის გამოყენებით გაზეთ "გუმეტის" 300 ნომრის კონფისკაცია მოახდინა.

გაზეთი ასამბლეის წევრების ხელშეწყობით აზერბაიჯანში გამოიცემოდა. "პოლიციელებმა ორგანიზაციის სამ აქტივისტს სცემეს და დააპატიმრეს. ისინი ამ დრომდე მარნეული რაიონის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში იმყოფებიან", - ნათქვამია ასამბლეის განცხადებაში. მათივე ინფორმაციით, საქართველოს ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა თბილისში კიდევ რამდენიმე აზერბაიჯანელი დააკავეს, რომლებიც მეიდანში გაზეთს "გუმეტს" უფასოდ ავრცელებდნენ. მათ გაზეთის 50 ეგზემპლარი ჩამოართვეს.

აზერბაიჯანული სააგენტოს ინფორმაციას არ ადასტურებს საქართველოს შს სამინისტრო. საქართველოს შს სამისნიტროს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, სამართალდამცველებს არავინ უცემიათ. მისივე თქმით, მსგავსი ფაქტი საქართველოს შს სამინისტროსთვის უცნობია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ამირან რობაქიძის პროცესი და დაპირისპირება სასამართლოს ეზოში

"ძირს მერაბიშვილის სასამართლო", - ასეთი შეძახილები გაისმოდა გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში. საქმე ისაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, სადაც ამირან რობაქიძის სიცოცხლის მოსპობაში ბრალდებული ყოფილი პატრულის გრიგოლ ბაშალეიშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო, არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლთა ინიციატივით საპროტესტო აქცია გაიმართა.

საპროტესტო აქციის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სასამართლოს ეზოში, შენობის კედლებზე საღებავებით წარწერების გაკეთებას ცდილობდნენ, რისი საშუალებაც მათ სასამართლოს მანდატურებმა არ მისცეს. ამის გამო "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებსა და მანდატურებს შორის დაპირისპირება მოხდა.



ინციდენტი არასამთავრობოებსა და მანდატურებს შორის.

სასამართლოს შენობის წინ, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების გარდა შეიკრიბნენ საზოგადოების სხვა ცნობილი სახეები. სასამართლოსთან ასევე იმყოფებოდნენ მოკლული ამირან რობაქიძის მშობლებიც, რომლებიც პროტესტის ნიშნად, სხდომაზე შესვლას აღარ აპირებენ.

"თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი წევრის ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, ისინი იმ უკანონობას აპროტესტებენ, რომლებიც რობაქიძის საქმის გამოძიების პროცესშია დაშვებული. ჩხარტიშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა საქმის გაყალბებით რეალური ვითარების დამალვას და მკვლელობაში ბრალდებული საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომლის გრიგოლ ბაშალეიშვილის ბრალის შემსუბუქებას ცდილობენ.

"რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადებით, აუცილებელია სასამართლოზე დაიკითხოს გადაცემა "პატრულის" ჟურნალისტები, რომლებიც ამირან რობაქიძის მკვლელობის ღამეს შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ.

გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის ინფორმაციით, წინა სხდომაზე სასამართლოს მოწმეთა დაკითხვის დასრულების საშუალება არ მიეცა. პროცესზე უნდა გარკვეულიყო, 2004 წლის 23 ნოემბერს, შემთხვევის ადგილზე ავტომანქანით მისულ გრიგოლ ბაშალეიშვილს გადაცემა "პატრულის" რომელი გადამღები ჯგუფი ახლდა თან.

სასამართლომ გადამღები ჯგუფის წევრების ვინაობის გასარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობით მიმართა, თუმცა, სასამართლომ პასუხად მიიღო, რომ შემთხვევის დღეს, გრიგოლ ბაშალეიშვილს თანამეწყვილე, პატრული-ინსპექტორი ლობჟანიძე ახლდა.

არადა, გარდაცვლილის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ამირან რობაქიძეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი არ გააჩნდა და ამის ამსახველი ვიდეომასალაც არსებობს, რომელიც ბაშალეიშვილთან ერთად ადგილზე მისულმა ჟურნალისტებმა გადაიღეს.

**"იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ შეკითხვაზე მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა აბსოლუტურად არაადეკვატური პასუხი მიიღო, პროცესი 8 აგვისტოსთვის გადაიდო. შს სამინისტრო ამგვარი მეთოდებით, რთული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. ეს ყველაფერი კი მიზნად ისახავს იმას, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება არ დადგინდეს. შს სამინისტრო საქმის გაყალბების გამო სიმართლის დადგენით მართლაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება", -** განაცხადა ალადაშვილმა.

*24 საათი*

# ჩაშლილი გაქცევა

პირველი გვერდიდან

**"ამას გამოძიება დაადგენს, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ ისევ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ჩვენი თანამშრომლები მონაწილეობენ კრიმინალებთან გარიგებაში".**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში აღბეჭდილია გვირაბის გათხრის შედეგად ამოღებული ნარჩენებით სავსე რამდენიმე ათეული ტომარა, რაც, თითქმის, ერთი თვის განმავლობაში რატომღაც შეუმჩნეველი რჩებოდათ ციხის თანამშრომლებს. თანაც, ორი თვის წინ ქუთაისის საპყრობილეში ვიზიტად მყოფმა ახალაიამ პრესისა და საზოგადოების წინაშე თავი იმით მოიწონა, რომ მთელი ციხე ვიდეოთვალის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა და ადმინისტრაციას შეუმჩნეველი არც ერთი დანაშაული არ დარჩებოდა.

**"ვიდეოთვალები გვაქვს დერეფნებში და არა - საკნებში, მით უმეტეს, საპირფარეშოში. გამომდინარე იქიდან, რომ ვიდეოთვალით კონტროლი არ ხორციელდება საკნებში და თითოეულ საკანს თავისი საპირფარეშო აქვს, ჩვენთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რას აკეთებდნენ პატიმრები საპირფარეშოებში. კადრებში კარგად ჩანს, თუ საიდან დაიწყეს გვირაბის გათხრა. ძალიან კარგად იყო ყველაფერი კონსპირირებული. ეს არის ე.წ. ზონა, სადაც ჩვენ კარს ვაღებთ დილით და ვკეტავთ საღამოს. პატიმრები სეირნობენ ეზოში, მათ ამის კანონით დადგენილი უფლება აქვთ. ისინი გადაადგილდებიან, შედიან ერთმანეთის საკანში... იქ არის, დაახლოებით, 500 პატიმარი, რომელთაგან, თითქმის, ყველა მკვლელობისთვის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდის სასჯელს", -** განმარტავს ბაჩო ახალაია.

ქუთაისის N2 საპყრობილე, როგორც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამოდელო დაწესებულება, გასული წლის ბოლოს გაიხსნა. ქუთაისის ახალი ციხის პრეზენტაცია პატიმრების ბუნტის ფონზე შედგა, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმმა განმუხტა და რასაც ორი პატიმრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

უკმაყოფილება ციხის მშენებელი ფირმის მიმართაც გამოითქვა, რადგან რამდენიმე თვის წინ აგებული და გარემონტებული შენობის კედლები უკვე, თითქმის, მთლიანად დაბზარულია; ახლა გაირკვა ისიც, რომ ბეტონის კედლებში გვირაბის გათხრაც საკმაოდ ადვილი ყოფილა.

გაქცევის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა. ოთხი პატიმარი, რომლებიც "შავ სამუშაოზე" - გვირაბის გათხრაზე მუშაობდნენ, გუშინვე თბილისში გადმოიყვანეს და მეხუთე საპყრობილეში, ე.წ. "კრიტში" მოათავსეს.

**"ქუთაისის N2 საპყრობილეში აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ერთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომლის ფარგლებში პატიმრებთან ერთად ციხის თანამშრომლებიც დაიკითხებიან და არ არის გამორიცხული მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას,"** - აცხადებს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "მშვიდობის მტრედების" საომარი რიტორიკა

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ომისთვის ვემზადებით, რადგან ყოველ წუთს ვგრძნობთ საშიშროებას. საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ომის განახლებისკენ არის მიმართული. ვეცდებით, რომ საკითხი დიპლომატიური, პოლიტიკური გზით მოვაგვაროთ, მაგრამ თუ პროვოკაციები კვლავაც გაგრძელდება, ნებისმიერი ვარიანტისთვის ვიქნებით მზად. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ რუსეთის პრეზიდენტს, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს - თავისი მოქალაქეების დაცვა ყველა ქვეყნის მოვალეობაა,"** - აცხადებს სერგეი შამბა.

ულტიმატუმების ენაზე საუბრობს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფშიც. **"აფხაზეთი საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესს მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს, თუ ვითარება კოდორის ხეობის ზედა ნაწილში 24 ივლისის, ანუ სპეცოპერაციამდე არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდება,"** - განაცხადა მან სააგენტო "რია ნოვოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ბაგაფშის თქმით, მოლაპარაკებების განახლებისთვის ასევე აუცილებელია საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა: **"არ შეიძლება, საბჭოს შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდეს. ჩვენ ერთი და იგივე შემადგენლობით ვმუშაობთ, ქართული მხარე კი მას სამ თვეში ერთხელ ცვლის."** ამასთან, სოხუმი მოლაპარაკებების პროცესში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგია.

**"მოლაპარაკებებში მათი ჩართვით, ვინც აფხაზეთში იბრძოდა, საქართველოს სურს, დიალოგი შიდა აფხაზურ ფორმატში გადაიტანოს, რაც აბსოლუტურად ცვლის მოლაპარაკებების ფორმატს. დიალოგი კი წარმოებს საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ამიტომ, უნდა მოხდეს ისეთი ხალხის შერჩევა, რომლებიც დიალოგს საქართველოს სახელით აწარმოებენ და არა არარსებული ავტონომიური სტრუქტურის სახელით,"** - ასეთია დე ფაქტო პრეზიდენტის ლოგიკა.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების ასეთი მკვეთრი პოზიცია ექსპერტ პაატა დავითაიას აფიქრებინებს, რომ ისინი ომისთვის ემზადებიან,.

**"აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება არ დაუშვებს იმას, რომ ორხელისუფლებიანობა დამყარდეს. ამიტომ, კონფლიქტის ზონაში შეყვანილნი არიან კაზაკები. ერთ-ერთ საზღვრისპირა სოფელთან დგას დაახლოებით ათი ერთეული "გრადის" ტიპის საზენიტო დანადგარი, სოფელი გეორგიევსკი და მისი მიმდებარე ტერიტორია კი ბლოკ-პოსტებითა და შეიარაღებული ფორმირებებით არის გამაგრებული. როგორც ჩანს, აფხაზები შტურმისათვის ემზადებიან. საბრძოლო მოქმედებები, სავარაუდოდ, ოქტომბრის მეორე ნახევარში შეიძლება დაიწყოს,"** - მიიჩნევს დავითაია...

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხში მერაბ ანთაძე აფხაზურ მხარეს ფუჭი რიტორიკისგან თავის შეკავებას ურჩევს და ომისთვის მზადების ნაცვლად, მოლაპარაკებების განახლებისკენ მოუწოდებს. საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენელთან როი რივთან გუშინდელი შეხვედრის დროს ანთაძემ აღნიშნა, რომ **"ბოლო დღეებში სეპარატისტები, ძირითადად, პროვოკაციებით არიან დაკავებული, რაც დიალოგის გაგრძელებას ხელს უშლის".**

სერგეი შამბას განცხადებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც ეხმაურება. თემურ მჟავია მიიჩნევს, რომ აფხაზური მხარის მუქარა შიშზე მიუთითებს, ხოლო რუსეთის მხარდაჭერაზე ღიად საუბარი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს სამშვიდობო ძალების უმოქმედობას.

**"რუსეთი საქართველოს იმ სეპარატისტული რეჟიმების მეშვეობით ეომება, რომლებსაც თავად უჭერს მხარს,"** - დასძენს თემურ მჟავია. მისი ნათქვამის დადსტურებას წარმოადგენს გუშინ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გალის რაიონის სოფელ რეფთან ქართველებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა. როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი" იუწყება, შეტაკების დროს დაიღუპა ორი ქართველი - რამინ გოგოხია და მანუჩარ ფანცულაია. სააგენტოს ინფორმაციით, ორივე მათგანი ყოფილი პარტიზანი იყო და ისინი, ექვს თანამებრძოლთან ერთად, აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყვნენ გადასულნი. ერთ-ერთი ვერსიით, შეტაკებისას ორი აფხაზიც დაიღუპა.

ასეთი დაძაბული ვითარების ფონზე წარიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის ვიზიტი სოხუმში. ორი დღის განმავლობაში რუსმა დიპლომატმა შეხვედრები გამართა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერგეი ბაგაფშთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან, აგრეთვე კონფლიქტის ზონაში განთავსებული კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალთან სერგეი ჩაბანთან და საქართველოში გაერო-ს მისიის წარმომადგენლებთან.

როგორც ჩანს, გრიგორი კარასინს თავი მშვიდობის მტრედად წარმოუდგენია. მისი განცხადებით, ვინაიდან რეგიონში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს სამშვიდობო პროცესს, ამიტომ რუსეთის ძალისხმევა ქართულ-აფხაზური სრულყოფილი მოლაპარეკებების აღდგენისკენ იქნება მიმართული.

იმის გამო, რომ რუსეთი შუამავალი მხარეა, კარასინი მოერიდა კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენებისთვის მკაცრი შეფასების მიცემას. თუმცა, მან მაინც ვერ შეიკავა თავი იმის ხაზგასმისგან, რომ ივლისის ბოლოს ხეობაში განვითარებულმა **"მოულოდნელმა მოვლენებმა ჩაშალა მშვიდობიანი დარეგულირების პროცესი"** და აუცილებელია ერთობლივი ძალისხმევით სიტუაციის სწრაფი შემობრუნება.

**"ჩემი მთავარი მისიაა სიტუაციის დაბრუნება მოლაპარაკებების წყნარ რეჟიმში,"** - განაცხადა რუსმა დიპლომატმა გუშინ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გრიგორი კარასინის აფხაზეთში სტუმრობა რუსეთის მხარემ ოფიციალურად შეათანხმა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. მიუხედავად ამისა, საქართველოში რუსეთის საელჩოს გუშინ მაინც გადაეცა საპროტესტო ნოტა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ქაჯაიას თქმით, ამის მიზეზი გახდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კარასინის ვიზიტთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადება, რომელიც **"შეიცავს საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით აბსოლუტურად არაკორექტულ და საქართველოსთვის კატეგორიულად მიუღებელ ტერმინოლოგიას".**

**"მოვითხოვთ, რომ ქართული მხარე ინფორმირებული იყოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სოხუმში ვიზიტის შედეგებზე, ისევე როგორც რუსეთის მხარის ყველა სხვა ქმედებებზე, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს უკავშირდება,"** - განუცხადა ნინო ქაჯაიამ სააგენტო "რეგნუმს".

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს კოდორის ხეობაში მყოფი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც ეხმაურება. მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფის მიერ კოდორის ხეობის ინსპექტირება განხორციელდეს. ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, მონიტორინგის ჯგუფში ყველაზე ნაკლები რაოდენობით რუსი დამკვირვებლები უნდა შევიდნენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად თავდაცვის მინისტრი რუსი სამშვიდობოების მხრიდან გახშირებულ სროლებს ასახელებს.

**"სანამ ივანოვი რამეს იტყვის, ვურჩევ, კარგად ჩაიხედოს 1994 წლის დოკუმენტში. ნახოს, რა წერია მასში და ამის მერე გვიკითხოს ნოტაციები. ვისაც არ უნდა გაუკვირდეს, 1994 წლის შეთანხმების მიხედვით, საქართველოს შეუძლია, კოდორის ხეობაში მძიმე ტექნიკა და არტილერია იყოლიოს. კოდორის ხეობა უსაფრთხოების ზონაში არ შედის და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება ის მკაცრი ზომები, რომლებიც ქვედა ზონას შეეხება. კოდორში ჩემი ყოფნა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - ხეობაში მოვამზადოთ სიტუაცია იმისთვის, რომ გაერო-ს დამკვირვებლებმა შეძლონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგის განხორციელება,"** - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

ამასთან, ოქრუაშვილი აღნიშნავს, რომ ამჟამად კოდორის ხეობაში სიტუაციას მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებს, მის უწყებას კი ხეობაში მხოლოდ ორმოცამდე თანამშრომელი ჰყავს გაგზავნილი, რომლებიც საინჟინრო ბატალიონის წევრები არიან და ძირითადად ხიდების აღდგენაზე მუშაობენ.

*24 საათი*

# რატომ არ იცვლება ტრადიციული არჩევანი ცუდსა და უარესს შორის

პირველი გვერდიდან

ზემოთ აღწერილი და ადვილად გადასამოწმებელი ვითარება ერთი დასკვნის საფუძველს იძლევა: თუ კარგად დავაკვირდებით, ოპოზიციის ნიშა იმაზე მეტად ცარიელია, ვიდრე ის ერთი შეხედვით გამოიყურება. მოქალაქეების ერთი ნაწილი ხმას აძლევს ხელისუფლებას, რომელსაც არ ენდობა, რადგან მის კონკურენტს ვერ ხედავს; მოქალაქეების მეორე ნაწილი კი ოპოზიციას ხმას აძლევს ნებისმიერ შემთხვევაში - ოთხი პარტია გაერთიანდება თუ შვიდი - მთავარია, ხელისუფლება დასუსტდეს. ძალზე ძნელი საპოვნელია ადამიანი, რომელიც რომელიმე პარტიას ხმას აძლევს იმის გამო, რომ სწორედ მასში ხედავს გამოსავალს, სამომავლო პერსპექტივას, ქვეყნის განვითარების გარანტს.

მოსწონს თუ არა ხელისუფლებას ან ოპოზიციას ეს ვითარება, ჯერჯერობით, ათვლის წერტილი ისევ მიხეილ სააკაშვილი, მისი გუნდი და მათ მიმართ დამოკიდებულებაა: "ხმას ვაძლევ ხელისუფლებას იმიტომ, რომ სხვა არავინაა", ან "ხმას ვაძლევ ნებისმიერს, ოღონდ, არა ამ ხელისუფლებას" - ეს არის ორი ყველაზე მეტად გავრცელებული პოზიცია დღევანდელ საქართველოში. ის ფაქტიც, რომ გოგა ხაინდრავა ან ბადრი პატარკაციშვილი შეიძლება ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი აღმოჩნდეს თბილისის მერის პოსტზე, სწორედ ამ რეალობას ადასტურებს - სწორებას ხელისუფლებაზე.

სად არის თვითმყოფადი ოპოზიცია? სად არის პარტია, რომელიც მარცვალ-მარცვალ აკრეფს იმ ნდობას, რომელიც სახელისუფლო გუნდმა დაშალა და მიმოაბნია? სად არიან სიმპათიური ოპოზიციური ლიდერები? ისინი კი არა, რომლებიც გუშინ ხელისუფლებაში იყვნენ და დღეს ოპოზიციაში არიან, არამედ ისინი, რომლებიც თავისებურად, სააკაშვილის გუნდისგან განსხვავებულად ხედავენ ქვეყნის განვითარების გზებს?

იმის შემდეგ, რაც საპარლამენტო ბარიერი 5 პროცენტიდან 7 პროცენტამდე გაიზარდა, საქართველოს პარლამენტში ორი ტიპის პარტიები ხვდებიან: ან ბიზნესიდან წამოსული ადამიანები, ან სახელისუფლო გუნდის განაყოფები. დიდი ხანია, საპარლამენტო ბარიერი არ გადაულახავს ახალ პარტიას ახალი სახეებით, საინტერესო ლიდერებითა და იდეებით.

შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი პარტიები საქართველოში არ იქმნება და რომ ყველა, ვისაც პოლიტიკა და ძალაუფლება იზიდავს, ადრე "მოქალაქეთა კავშირის" წევრი იყო, ახლა კი "ნაციონალური მოძრაობის" წევრია. არც ის არის შემთხვევითი, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს რეალური ოპოზიციის წყაროდ დღესაც ხელისუფლება მიაჩნია და ელოდება, როდის გაიხლიჩება პრეზიდენტის გუნდი.

მთავარი ფაქტორი, რაც შეცვლის მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებულ ხისტ და მავნე პოლიტიკურ ტრადიციებს, 7-პროცენტიანი ბარიერის დაწევაა. სამოქალაქო საზოგადოება მეტისმეტად სუსტია ამ მძიმე ლოდთან შესაჭიდებლად, თორემ, წესით, სამოქალაქო აქტივობის მთავარი ვექტორი დღეს სწორედ საპარლამენტო ბარიერის დაწევისკენ უნდა იყოს მიმართული. თუ ახლად შექმნილ პარტიებს პარლამენტში მოსახვედრად არ დასჭირდებათ კოლოსალური რაოდენობის თანხის თუ ხმების მოზიდვა, პოლიტიკაში სწრაფად დამკვიდრდებიან ახალი და საინტერესო სახეები. შესაბამისად, არჩევანიც გაჩნდება. თუ არადა, უსასრულოდ გაგრძელდება ტრადიციული არჩევანი ცუდსა და უარესს შორის.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

# შეხვედრა გაერო-ს "მეგობარი ქვეყნების" ჯგუფის წარმომადგენლებთან

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე შეხვდა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლებს.

შეხვედრის მსვლელობისას მანჯგალაძე დიპლომატებს ესაუბრა კოდორის ხეობაში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების შესახებ. მან აღნიშნა რომ კოდორის ხეობაში სოფელ ქვაბჩარას მიმართულებით ხორციელდება სროლა სხვადასხვა იარაღის გამოყენებით დსთ-ს სამშვიდობო ჯარების № 107 პოსტის მიმდებარე ტერიტორიიდან და სოფელ ლათას მიმართულებიდან. ამასთან ხშირია შემთხვევები ამოსაცნობი ნიშნების არ მქონე ვერტმფრენების გადაფრენისა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შეფასებით, აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს მდგომარეობის დაძაბვისკენ მიმართულ შეგნებულ პროვოკაციას. მან სტუმრებს მიმართა თხოვნით, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული საშუალებები, რათა აიძულონ დსთ-ს სამშვიდობო ჯარები და მათი ხელმძღვანელობა პირნათლად შეასრულონ მანდატით დაკისრებული მოვალეობანი.

საქართველოს საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ინციდენტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალებს არ გააჩნიათ შესაძლებლობები ან ნება ჯეროვნად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და აუცილებელია სამშვიდობო ოპერაციის არსებული ფორმატის და სამართლებრივი ბაზის შეცვლა.

ამის პასუხად შეკრებილმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში ჩაატარებენ შესაბამის კონსულტაციებს ყველა დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით და დასახული მოქმედებების შესახებ აცნობებენ ქართულ მხარეს.

# თვითმმართველობის არჩევნების კონტურები

პირველი გვერდიდან

**"თუ საერთოდ მოხდება გაერთიანება, ოპოზიციის ლიდერის კანდიდატურაზე მსჯელობა დაიწყება. ყველა პარტიას საკუთარი ფავორიტი ჰყავს, ჩვენ თუ დავაყენებთ ვინმეს კანდიდატურას, ეს იქნება გოგი თოფაძე, "ლეიბორისტები" საერთოდ ბოიკოტზე საუბრობენ და ა.შ."** - ამბობს ზურაბ ტყემალაძე. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით კირკიტაძის განცხადებას, რომ ბადრი პატარკაციშვილს თბილისის მერობა სურს, გამოეხმაურა ბიანესმენის პრესმდივანი გიორგი კვიტაშვილი. **"არ ვიცი, საიდან აქვს კირკიტაძეს ასეთი ინფორმაცია, რომელიც არც მე მაქვს და არც ბადრი პატარკაციშვილს,"** - გაკვირვებულია იგი.




## მოკლედ

### ისრაელმა ლიბანის სამხრეთში კომენდანტის საათი შემოიღო

ისრაელის თავდაცვის ჯარმა ლიბანის სამხრეთში კომენდანტის საათი შემოიღო. ახალი ბრძანების გაცემამდე, მდინარე ლითანის სამხრეთით მცხოვრებთ ადგილობრივი დროით 22:00 საათიდან გარეთ გასვლა ეკრძალებათ.

მდინარე ლითანი ლიბანის სამხრეთ ნაწილში, ისრაელის საზღვრიდან 5-30 კილომეტრში ჩაედინება. საზღვარსა და მდინარეს შორის ზოგიერთ ტერიტორიას ისრაელის ჯარი აკონტროლებს.

ბრძოლები კი გრძელდება. ისრაელის ავიადარტყმის შედეგად, სამხრეთ ბეირუთში 15 ადამიანი დაიღუპა და 30 დაიჭრა. რაკეტა საცხოვრებელ სახლს მოხვდა. შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს.**ინტერპრესნიუსი**

### ინდონეზიაში ფრინველის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა

ფრინველის გრიპით დაავადების ახალი შემთხვევა დაფიქსირდა ინდონეზიაში. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ვირუსით 16 წლის ახალგაზრდა დაინფიცირდა. ტესტების შედეგებმა დაადასტურა, რომ ბიჭი სწორედ ფრინველის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა. იგივე დაადასტურეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმაც.

ინდონეზია მსოფლიოში პირველ ადგილზეა აღნიშნული ვირუსით დაღუპულთა რაოდენობის მხრივ. ამ დაავადებით დაღუპულთა რიცხვმა იქ 43-ს მიაღწია..**ინტერპრესნიუსი**

### რუსეთისა და მოლდოვას პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდებიან

მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს შეხვდება. მხარეები მოლდავურ-რუსულ ურთიერთობებში შექმნილ პრობლემებს განიხილავენ.

განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი მთავარი დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარება იქნება. ამ ინფორმაციას რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "ვზგლიადი" კრემლში არსებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

ამას გარდა, წყაროსავე ინფორმაციით პუტინისა და ვორონინის შეხვედრის საბაბად მოლდოვასა და რუსეთს შორის შექმნილი არასახარბიელო ეკონომიური მდგომარეობაც იქცა.

"გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს, ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა 4 პროცენტით შემცირდა. ამას გარდა, რუსულმა იმპორტმა მოლდოვაში 45 პროცენტით იკლო", - იუწყება სააგენტო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დახმარება აჭარაში მცხოვრებ 705 სოციალურად დაუცველ პაციენტს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სახელმწიფოს ხარჯზე მიღებული სამედიცინო მომსახურებით გაეწია აჭარში მცხოვრებმა 700-ზე მეტმა სოციალურად დაუცველმა პაციენტმა ისარგებლა.

მათგან 253 პაციენტს სტაციონარული მკურნალობის კურსი ჩაუტარდა. 444 მოქალაქე აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ მედიკამენტებით უზრუნველყო, ხოლო მაღალტექნოლოგიური გამოკვლევა 8 პაციენტმა ჩაიტარა.

წელს აღნიშნული სამედიცინო მომსახურების გეგმა 272 012 ლარით დაფინანსებას ითვალისწინებდა, თუმცა გეგმით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოს შესრულებას მხოლოდ 245 262 ლარი დასჭირდა. იგი აჭარის ჯანდაცვის უწყებამ სრულად დააფინანსა. რაც შეეხება აჭარის მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კომპონენტს, ამ დახმარებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 80-მდე პაციენტმა ისარგებლა.

მათთვის გაწეული მომსახურების ღირებულებამ 19 515 ლარი შეადგინა, თუმცა ამ კომპონენტისთვის 6 თვის გეგმით მხოლოდ 15 192 ლარი იყო დათვალისწინებული, შესაბამისად, შესრულებილი სამუშაოს გარკვეული ნაწილი დაუფინანსებელი დარჩა. აჭარის რაიონებიდან ბათუმისა და თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში 79 პაციენტი გადაიყვანეს, აქედან 19 თბილისში, რომელთაგან 2 გარდაიცვალა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

პირველი გვერდიდან

თუმცა, "ბიზნესმენთა ფედერაციაში" გამართული ამ შეხვედრიდან რამდენიმე საათში პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საგანგებო ბრიფინგი მოაწყო და ბიზნესმენებს დიალოგზე უარი უთხრა. **"ბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი მთავრობის მიერ მიცემული შესაძლებლობის გამოყენებისთვის მზად არ აღმოჩნდა და კერძო არბიტრაჟის სისტემა ბიუჯეტისთვის შემოსავლების მოკლების და "მღვრიე წყალში თევზის დაჭერის" შესაძლებლობად გამოიყენა,"** - განაცხადა მაშინ პრემიერ-მინისტრმა. ამის მაგალითად ნოღაიდელმა თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასი" მოიყვანა, რომელმაც, პრემიერის აზრით, სახელმწიფოს 10 მლნ ლარის შემოსავალი დააკარგვინა. **"დამოუკიდებელმა არბიტრაჟმა არასწორი, საგადასახადო კოდექსთან წინააღმდეგობაში მოსული გადაწყვეტილება მიიღო, რასაც მხოლოდ პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ველარ შევასრულებთ სოციალურ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფომ აიღო. არ მოხდება ბიუჯეტის შევსება, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით,"** - აცხადებდა პრემიერ-მინისტრი.

მარტივად, დავების კერძო არბიტრაჟში განხილვა ასეთი მოდელით უნდა განხორციელებულიყო: მეწარმე საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივის და არბიტრაჟის რამდენიმეკაციანი შემადგენლობიდან ერთ არბიტრს ირჩევს. შესაბამისად, საგადასახადო ინსპექცია ვალდებულია, იგივე შემადგენლობიდან სხვა, მისთვის სანდო არბიტრი აირჩიოს და მას საგადასახადო დავის განხილვა მიანდოს.

**"ბიზნესმენები საგადასახადოს არბიტრაჟში მიათრევენ და აიძულებენ, არბიტრაჟის შემადგენლობიდან ისეთი პირი აირჩიოს, რომელსაც თითქმის არც ვიცნობთ და მისდამი ნდობა ვერ გვექნება,"** - აცხადებდა თავის დროზე გიორგი გოდაბრელიძე.

მიხეილ სააკაშვილი არბიტრაჟის ინსტიტუტის სრულ გაუქმებას არასოდეს უჭერდა მხარს, თუმცა თავიდანვე მიაჩნდა, რომ არსებული ფორმით მისი შენარჩუნება ბიუჯეტს მნიშვნელოვნად აზარალებს და ეს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც აისახებოდა. მან ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ აღიარა, რომ საქართველოს მთავრობამ შეცდომა დაუშვა, როცა "საგადასახადო კოდექსში" კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი იმ ფორმით შეიტანა. **"მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. თუ ჩვენ ყველაფერს უცვლელად დავტოვებთ, ველარ დავარიგებთ პენსიებს, ველარ გავცემთ ხელფასებს და ველარ დავაფინანსებთ ძალზე მნიშვნელოვან სფეროებს,"** - აცხადებდა პრეზიდენტი.

არბიტრაჟის ინსტიტუტის ხელახლა შემოღების შესახებ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა: **"გვჭირდება არბიტრაჟი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ერთი წლის წინათ ჩამოვაყალიბეთ. მზად ვართ, წამყვანი ევროპული ქვეყნებიდან მოვიწვიოთ არბიტრები, მაღალი ხელფასები გადავუხადოთ და სამეწარმეო დავები, ქართველ არბიტრებთან ერთად, ნამდვილი არბიტრაჟის პირობებში, დადგენილი საერთაშორისო ნორმებით გადავაწყვეტინოთ."**

პრეზიდენტის და, თავის დროზე, ზურაბ ნოღაიდელის შეფასებებს არ იზიარებს ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი ავტორი ვახტანგ ხმალაძე. **"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ერთ-ერთ არბიტრაჟში - "თბილისის საარბიტრაჟო პალატაში" გადაწყვეტილება კანონის სრული შესაბამისობით იქნა გამოტანილი. სახელმწიფომ წააგო წვრილ მეწარმესთან, რომელიც საგადასახადო დეპარტამენტს საგადასახადო მოთხოვნის არასწორი ფორმით წარდგენას ედავებოდა. "ეი ეს თელასთან" სახელმწიფოს საგადასახადო დავაც ამ უკანასკნელის დამარცხებით დასრულდა. "თელასი" აპროტესტებდა საგზაო ფონდისთვის 2004 წელს საგადასახადოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას. საბოლოოდ, სახელმწიფოს "თელასისთვის" 10 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა,** - განუცხადა ვახტანგ ხმალაძემ საინფორმაციო სააგენტო "ჯი ბი სი"-ს, - **მიუხედავად იმისა, რომ დავის შესახებ დეკლარაცია კონფიდენციალურია, არბიტრმა მხარეებს დეკლარაციის გამოქვეყნება შესთავაზა, რაზეც "თელასი" დაეთანხმა, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. ცხადია, რომ საგადასახადოს პოზიცია არ იყო სწორი და წინააღმდეგობაც ამით აიხსნება."** ხმალაძის განცხადებითვე, საგადასახადო დეპარტამენტის არასწორ პოზიციაზე ისიც მიუთითებს, რომ სახელმწიფომ აღნიშნული საქმე სასამართლოს ორ ინსტანციაში გაასაჩივრა და ორჯერვე წააგო.







## შესწორება

შპს "ენგურჰესის" სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ 20 ივლისის გაზეთ " 24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში, ზეთების სახელმწიფო შესყიდვაზე შეცდომაა ნაცვლად

2. შესასყიდი საქონელი
ა) ტურბინის ზეთი რო-30 - 30 000 ლიტრი;
ბ) კომპრესორის ზეთი კუ-19-2 500 ლიტრი.

**უნდა იყოს შემდეგი სახით**

2. შესასყიდი საქონელი
ა) ტურბინის ზეთი **ТП-30** - 30 000 ლიტრი;
ბ) კომპრესორის ზეთი **КС-19** - 2 500 ლიტრი.

## განცხადება

ქ. თბილისის მერია აცხადებს ღია არქიტექტურულ შემოქმედებით კონკურსს ქ. თბილისში მთაწმინდის უბნის რეაბილიტაციის გეგმის კონცეფციაზე.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო "პროგრამისა და პირობების" და ამოსავალი მასალის გაცემა მოხდება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში 2006 წლის 14 აგვისტოს 12 სთ-დან 18 აგვისტოს 17 სთ-მდე.

კონკურსთან დაკავშირებულ კითხვებზე უპასუხებს კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი ალექსანდრე ჯობავა; ტელ: 96-91-26; ფაქსი: 95-00-77; მობილური: 899 98-44-45.

*კონკურსის ორგანიზატორები*

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ბორჯომის რაიონის და, კერძოდ, ქ. ბორჯომის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, რაიონში მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე, სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის განვითარების მიზნით, ბორჯომის რაიონის გამგეობის 2006 წლის 3 მაისის №113 დადგენილების შესაბამისად ბორჯომის რაიონის გამგეობასთან შექმნილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის №65 ბრძანების საფუძველზე აცხადებს კონკურსს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

1. კონკურსის მიზანი

1.1. კონკურსის მიზანია რაიონში მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე, სპორტის, კერძოდ, ფეხბურთისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

1.2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:

1.2.1. მიწის ნაკვეთის მისამართი - ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ., სს "სანატორიუმ ლიკანის" მომიჯნავედ;

1.2.2. მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა - კონკურსი;

1.2.3. მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა - საკუთრება;

1.2.4. მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა - მიზნობრივი;

1.2.5. მიწის ნაკვეთის ფართობი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) კვ მ;

1.2.6. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი - 1 კვ მ-ზე 3 ლარი, სულ 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი.

2. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსის ძირითადი პირობაა პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, მიმდებარე ტერიტორიის და შიდა გზების კეთილმოწყობა, გამწვანება და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, კანალიზაცია, სასმელი წყალი, ტელეფონი); ზემოაღნიშნული ტექნიკური ინფრასტრუქტურის მიყვანა საკონკურსო მიწის ნაკვეთამდე განხორციელდება ბორჯომის რაიონის გამგეობის მიერ საკუთარი სახსრებით.

2.2. სხვა პირობები:

2.2.1. მიწის ნაკვეთის გასაყიდი ფასი ყველა პრეტენდენტისათვის ფიქსირებულია და შეადგენს 1 კვ მ-ზე 3 ლარს;

2.2.2. საკონკურსო მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს 70 პროცენტზე, ანუ 35 000 კვ მ-ზე მეტი;

2.2.3. სართულიანობა დასაშვებია განისაზღვროს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საპროექტო გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2.4. ქ. ბორჯომში, არდაგანის დასახლებაში დაწყებული და დაუმთავრებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დამთავრება პრეტენდენტის საკუთარი სახსრებით, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და აღნიშნულ კორპუსში არსებული ბინების უსასყიდლოდ გადაცემა ბორჯომის რაიონის იმ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისათვის, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფოს მიერ გაცემული გარანტიები ბინების უსასყიდლოდ მიღებაზე; სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს საორიენტაციოდ 2.5 მილიონ ლარს (ამ პირობის შესრულების ვადაა კონკურსის ჩატარებიდან სამი წელი).

ცნობის სახით: არდაგანის დასახლებაში მრავალბინიანი (დაუმთავრებელი) კორპუსის მიმდებარე ტერიტორია შეადგენს 1770 კვ მეტრს, 1 კვ მეტრის ღირებულება 2.64 ლარს.

2.2.5. ქ. ბორჯომში დაწყებული და დაუმთავრებელი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის დამთავრება უკვე არსებული პროექტის მიხედვით პრეტენდენტის საკუთარი სახსრებით და დამთავრებული სტადიონის უსასყიდლოდ გადაცემა ბორჯომის რაიონის გამგეობაზე; სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს საორიენტაციოდ 1.25 მილიონ ლარს (ამ პირობის შესრულების ვადაა კონკურსის ჩატარებიდან ორი წელი);

2.2.6. ბორჯომის რაიონში სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის განვითარებისათვის თანხების გამოყოფა პრეტენდენტის საკუთარი სახსრებიდან 1.25 მილიონი ლარის ოდენობით (ამ პირობის შესრულების ვადაა კონკურსის ჩატარებიდან ორი წელი); თანხების მიზნობრივი განაწილება მოხდება ბორჯომის რაიონის გამგეობისა და პრეტენდენტის მიერ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, რომლის შემუშავება განხორციელდება კონკურსის ჩატარებიდან ორი თვის ვადაში;

2.2.7. საკონკურსო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა უნდა დამთავრდეს არაუმეტეს 5 წელიწადში; საკონკურსო პროგრამის დაწყება უნდა განხორციელდეს კონკურსის ჩატარებიდან მაქსიმუმ სამი თვის ვადაში და გაგრძელდეს იმ პირობით, რომ პირველ სამ წელიწადში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა არ იქნება 10 მლნ აშშ დოლარზე ნაკლები;

2.2.8. მშენებლობის პერიოდში მუშახელის დაკომპლექტება უნდა განხორციელდეს ძირითადად ბორჯომის რაიონში რეგისტრირებული მოსახლეობის ხარჯზე;

2.2.9. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს წინადადებები (მათ შორის საპროექტო) საკონკურსო მიწის ნაკვეთზე განსათავსებელ ობიექტთა შესახებ; საპროექტო წინადადებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით), მაგრამპ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობათა ძირითადი გეგმარებითი და მოცულობითი მახასიათებლების შესახებ. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები, რომელიც შეთანხმდება ყველა შესაბამის ორგანიზაციებთან, გათვალისწინებული იქნება ქ. ბორჯომის განაშენიანების გენერალურ გეგმაში;

2.2.10. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის საფასურის გადახდა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ, მაგრამ შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2006 წლის 1 ოქტომბერს; შესყიდვის ფასის სრულ გადახდამდე გასხვისებული მიწა დაიტვირთება იპოთეკით ბორჯომის რაიონის გამგეობის სასარგებლოდ თანხის გადახდაში აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით;

2.2.11. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე"-ს სახით უნდა შეიტანოს კომისიის მიერ მითითებულ ანგარიშზე აუცილებელი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით, ანუ 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი; კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) კონკურსის დამთავრებიდან არაუმეტეს 10 9ათი) საბანკო დღის ვადაში.

3. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლინების კრიტერიუმი

3.1. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია თანხმობის განცხადება კონკურსის პირობების რაც შეიძლება მაქსიმალურად შესრულებაზე და პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო ტერიტორიის უკეთესი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის შემოთავაზება.

4. კონკურსში მონაწილეობის პირობები

4.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს (მათ შორის უცხოურს), რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, საკონკურსო პირობებიდან გამომდინარე, ბორჯომის რაიონის გამგეობისა და პრეტენდენტის უფლებები და ვალდებულებები.

4.2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) დალუქული სახით);
- ბორჯომის რაიონის გამგეობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის ("ბე"-ს) დეპონირების დამადასტურებელი საბუთი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

4.3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომაზე კონკურსის საჯარო მოსმენის დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

4.4. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გაწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

4.5. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტებმა უნდა მიმართონ საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი 1, ბორჯომის რაიონის გამგეობის შენობა, VII სართული, საერთო განყოფილება (საკონკურსო კომისიის პასუხისმგებელი პირი ნათელა გოგოლაძე), ტელ/ფაქსი: (+995 267) 2-13-66.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 11 სექტემბერს საღამოს 6 საათზე. კონკურსის ჩატარების თარიღად დადგენილია 2006 წლის 14 სექტემბერი, 14 საათი. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე: სს "თიბისი" ბანკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალი, ბანკის კოდი 220101762, ანგარიშსწორების ანგარიშის (მიზნობრივი ანგარიში) № 330500003, მიმღები: ბორჯომის რაიონის გამგეობის საფინანსო სამსახური, მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი 226110384.

*ბორჯომის რაიონის გამგეობა*

# institute for war and peace reporting
## ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

# ყარაბაღის სამშვიდობო პროცესი შეფერხდა

*უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფს, რომ მხარეთა პოზიციები ჯერაც ძალიან დაშორებულია.*

ელშად გულიევი, ბაქო,
კარინე ოჰანიანი,
სტეფანაკერტი
და ტატულ ჰაკობიანი,
ერევანი

მთია„ნი ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ მოლაპარაკებების პროცესის ახლდადდანიშნულმა ამერიკელმა თანათავმჯდომარემ ცოტა ხნის წინ რეგიონში იმოგზაურა. ამ ფაქტს მოლაპარაკებისთვის ახალი იმპულსი უნდა მიეცა, თუმცა, პროცესში მონაწილე ყველა მხარე კვლავაც პესიმისტურადაა განწყობილი.

ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად ეუთო-ს მიერ შექმნილი მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარედ ივნისში დანიშნულმა მეთიუ ბრაიზამ გასულ კვირას მთიანი ყარაბაღი, სომხეთი და აზერბაიჯანი მოინახულა. ამ შეხვედრების შემდეგ მას საჯარო განცხადებები თითქმის არ გაუკეთებია, თუმცა, საზოგადოების ნაწილი ბრაიზას ვიზიტში ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად ვაშინგტონის მიერ სამშვიდობო პროცესის გაგრძელების მტკიცე გადაწყვეტილებას ხედავს.

რეგიონში მოგზაურობისას ბრაიზას მინსკის ჯგუფის ფრანგი და რუსი თანათავმჯდომარეები თან არ ახლდნენ. ერთი თვის წინ ამ სამი ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარმა ჯგუფმა ეუთო-ს უჩვეულოდ მწვავე მოხსენება წარუდგინა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყარაბაღის სამშვიდობო პროცესი შეფერხდა.

თანათავმჯდომარეთა თქმით, მათ „შემოქმედებითი შესაძლებლობების ზღვარს მიაღწიეს“, ამდენად, პროცესის გაგრძელებაზე პასუხისმგებლობა სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებას ეკისრება.

“მათ დასახმარებლად მზად ვართ, – ნათქვამია განცხადებაში, – მაგრამ ჩვენ მხოლოდ შუამავლის როლი გვაკისრია და მხარეთა ნაცვლად გადაწყვეტილებებს ვერ მივიღებთ. ჩვენი აზრით, ამჟამად ყველაზე გამართლებული სვლა ორივე ქვეყნის საზოგადოებისთვის ამ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების განხილვის ჯანსაღ პროცესში ჩაბმის საშუალების მიცემა იქნებოდა.“

რეგიონში ჩამოსვლამდე ბრაიზამ ტრადიციას უღალატა და „რადიო თავისუფლებას“ უჩვეულოდ გულახდილად ესაუბრა. მან ინტერვიუში ორი წლის განმავლობაში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკების დეტალები გაამხილა. წელს გამართულ ორ შეხვედრაზე აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევმა და რობერტ ქოჩარიანმა ეს შეთანხმება უარყვეს.

განსახილველ საკითხებს შორის მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მდებარე აზერბაიჯანული ტერიტორიებიდან სომხეთის ძალების ეტაპობრივი გაყვანა, ყარაბაღის სტატუსის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარება და რეგიონში სამშვიდობო ძალების განლაგება იყო.

შუამავლები ეუთო-სთვის წარდგენილ ანგარიშში პროცესისა და შეთანხმების ჩაშლის შესაძლო შედეგების თაობაზე მხარეებს მკაცრად აფრთხილებენ: „თუ მათ ქმედებებს მშვიდობის დამყარების ნაცვლად ომი მოჰყვება, საკუთარი მოსახლეობა და საერთაშორისო თანამეგობრობა პასუხს სწორედ მხარეთა ხელმძღვანელობას მოსთხოვს“.

პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ამ ანგარიშში სამეულის უპრეცენდენტო იმედგაცრუებაა ასახული.

პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის დროს ყარაბაღის საკითხზე მოლაპარაკებებში სომხეთის ყოფილმა წარმომადგენელმა, ამჟამად მიჩიგანის უნივერსიტეტში ისტორიის ლექტორმა ჟერარ ლიბარიდიანმა თავისი მოსაზრებები IWPR-ს ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუზიარა. მისი აზრით, „ახალი აქცენტები პრეზიდენტებზე ზეწოლის გარკვეულ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ“.

თუმცა ლიბარიდიანს ამ ზეწოლის შედეგიანობაში ეჭვი ეპარება. „პრეზიდენტებს აუცილებელ დათმობებზე წასასვლელად ამ განცხადებით შექმნილ დისკომფორტზე ბევრად მეტი ესაჭიროებათ. ჩემი აზრით, ყველაზე მეტ ძალისხმევას მეთიუ ბრაიზა იჩენს, რომელიც ამ პროცესში ახალი ფიგურა არ არის“, – ამბობს იგი.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერები კი საჯაროდ კვლავინდებურად სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

ბრაიზასთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ალიევმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, რომ იგი კვლავაც კონფლიქტის ეტაპობრივი გადაჭრის მიდგომას ემხრობა. ამასთან, მისი თქმით, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა „არც დღეს, არც ხვალ და არც ოდესმე არავითარ პირობებში“ განხილვის საგანი არ შეიძლება გახდეს.

კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების მომხრე რადიკალური „ყარაბაღის გათავისუფლების ორგანიზაციის“ ლიდერი აქიფ ნაგი მეტ აგრესიულობას იჩენს. მისი აზრით, აზერბაიჯანმა მინსკის ჯგუფთან ურთიერთობა უნდა შეწყვიტოს. „მეთიუ ბრაიზას ჩამოსვლის ძირითადი მიზანი აზერბაიჯანისთვის სამშვიდობო შეთანხმების თავს მოხვევაა, რაც ჩვენს ინტერესებს არ შეესაბამება“, – განაცხადა მან.

მთიანი ყარაბაღის სტატუსზე რეფერენდუმის გამართვის იდეამ აზერბაიჯანის მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია. თუმცა პოლიტტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის დირექტორმა მუბარიზ ახმედოღლუმ IWPR-ს განუცხადა, რომ აზერბაიჯანის ის გარემოება აიმედებს, რომ „თანათავმჯდომარეები რეფერენდუმის მხოლოდ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე ჩატარების აუცილებლობაზე არ საუბრობენ“. ამ შემთხვევაში ყარაბაღის მოსახლეობა, რომლის უმრავლესობასაც სომხები შეადგენენ, აუცილებლად აზერბაიჯანისგან გამოყოფას დაუჭერდა მხარს.

ერევანში ბრაიზას ვიზიტის დროს, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა ბაქო სამშვიდობო პროცესის ჩაშლაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სომხეთი ამჟამად განხილვის პროცესში არსებულ ორნახევარგვერდიან დოკუმენტს ეთანხმება და ის კვლავაც მოლაპარაკებების საფუძველი უნდა იყოს.

“ეს არაა იდეალური დოკუმენტი, მაგრამ თუ აზერბაიჯანი მოყვანილ არგუმენტებს დაეთანხმება, ვფიქრობ, მის საფუძველზე ამ საკითხის მოგვარებაში წინსვლის მიღწევას შევძლებთ და ჩვენი მოსახლეობის დარწმუნებასაც შევეცდებით, რაც ამჟამად პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა“, – უთხრა ოსკანიანმა IWPR-ს.

სომხური მხარის სხვა წარმომადგენელთა თქმით, პროცესი იმიტომ ჩაიშალა, რომ ყარაბაღელი სომხები – თავად სადავო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, პროცესში უშუალოდ არ მონაწილეობს, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლება მხოლოდ ერევნის მთავრობასთან საუბარზეა თანახმა.

“სანამ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის არაღიარებული, მაგრამ კანონიერი ხელისუფლება მოლაპარაკებათა სრულუფლებიანი მონაწილე არ გახდება, წინ ვერ წავალთ, – განუცხადა IWPR-ს ოპოზიციური ,,დემოკრატიული პარტიის“ ხელმძღვანელმა არამ სარქისიანმა, – სომხურ მხარეს, რომელსაც რობერტ ქოჩარიანი წარმოადგენს, შეთანხმებებზე ხელის მოწერის უფლება არ აქვს“.

გასულ კვირას მთიან ყარაბაღში ვიზიტის დროს ბრაიზამ ეს არგუმენტები ყარაბაღის სომხური ხელმძღვანელობისგანაც მოისმინა.

ბრაიზასთან შეხვედრის შემდეგ ახალი გეგმის თაობაზე ეჭვები ყარაბაღის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი პეტროსიანმაც გამოთქვა. მისი თქმით, „თანათავმჯდომარეების წინადადებებში პირველ ეტაპზე მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის მხრიდან კომპრომისებია გათვალისწინებული, რასაც რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. კონფლიქტის ზონაში ხომ სამხედრო მოქმედებების განახლების აღკვეთისთვის საკმარისი გარანტიები არ არსებობს“.

კონფლიქტის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულების შემდეგ უკვე 12 წელი გავიდა, თუმცა, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებებზე სომხეთის ყოფილი წარმომადგენელი ჟერარ ლიბარიდიანი კვლავაც გამოყოფს ხუთ პრობლემას, რომელიც პროცესის მშვიდობიან მოგვარებას უშლის ხელს.

პირველი პრობლემა ისაა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებს საკუთარ ქვეყნებში არსებული პრობლემები „პოლიტიკური კაპიტალის დეფიციტს უქმნის“ და მათ კომპრომისებზე წასვლისა და თავიანთი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების საშუალებას არ აძლევს. მეორე პრობლემა ორივე მხარის რწმენაა, რომ დრო მათ სასარგებლოდ მუშაობს, რის გამოც ისინი პოზიციებს ამკაცრებენ. ლიბარიდიანის მტკიცებით, მესამე ფაქტორი მოლაპარაკებების მაგიდასთან ყარაბაღელი სომხების არყოფნაა, „რის შედეგადაც შუამავლებმა ალტერნატიული შესაძლებლობების სრულყოფილად გაცნობა ვერ შეძლეს“.

ლიბარიდიანი ამბობს, რომ მეოთხე პრობლემა ერთმანეთის წინაშე ანგარიშვალდებულებაა: „კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა პროცესის ჩაშლის კარგად მოფიქრებული, ნულოვანი რისკის მქონე მექანიზმები შეიმუშავეს და მას ყოველთვის პროცესის კრიტიკულ წერტილთან მიახლოვებისთანავე იყენებენ“.

და ბოლოს, მისი თქმით, შუამავლებს „რეგიონის მომავლის ერთიანი ხედვა არა გააჩნიათ“. მათ განსხვავებულ ინტერესებს კი პროცესი „სხვადასხვა მხარეს მიჰყავს“ და კონფლიქტის მოგვარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას უშლის ხელს.

www.iwpr.net

# სომხეთის თავდაცვის მინისტრი პოლიტიკური პარტიის გამგეობის თავმჯდომარის პოსტს იკავებს

*მმართველი პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობაზე სერჟ სარქისიანის დანიშვნას საარჩევნო კამპანიის პირველ ნაბიჯად მიიჩნევენ*

დიანა მარკოსიანი,
ერევანი

სომხეთის მმართველი კოალიციის წამყვანი პოლიტიკური ძალის, რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე ქვეყნის რიგით მეორე გავლენიანი ფიგურა, თავდაცვის მინისტრი სერჟ სარქისიანი პარტიის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ერთი მხრივ, ამ ნაბიჯში მოულოდნელი არაფერია, რადგან სარქისიანს რესპუბლიკურ პარტიასთან ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. თუმცა ოფიციალურად რესპუბლიკელებს ყრილობის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე შეუერთდა. თავდაცვის მინისტრის პარტიულ თანამდებობაზე დაწინაურებას მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოგებისთვის გაკეთებულ პირველ სვლად მიიჩნევენ. სავარაუდოდ, ეს ნაბიჯი იმაზე მიანიშნებს, რომ სარქისიანი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც იყრის კენჭს.

გარდა ამისა ყრილობამ პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ხელახლა აირჩია.

სერჟ სარქისიანი დაახლოებით 20 წელია, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მთიანი ყარაბაღის კომუნისტური პარტიის ახალგაზრდულ ლიგაში, ,,კომსომოლში“ ერთად მუშაობის დღეებიდან, რობერტ ქოჩარიანის ახლო მოკავშირედ მიიჩნევა. მას სომხეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი ორჯერ ეკავა. სარქისიანი ამ თანამდებობაზე უკანასკნელად 2000 წლის მაისში დაინიშნა.

ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, 2008 წელს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ რობერტ ქოჩარიანს მესამედ კენჭისყრის უფლება აღარ აქვს. საზოგადოება ახლანდელი პრეზიდენტის მემკვიდრედ სწორედ სარქისიანს მიიჩნევს. თუმცა ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების თქმით, ქვეყნის თავდაცვის მინისტრის კავშირი რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან მიუღებელია. როგორც ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავს, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, გენერალი ვაღარშაკ ჰარუთიუნიანი 2000 წელს თანამდებობიდან სწორედ მეტისმეტად აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისთვის გაათავისუფლეს.

„სერჟ სარქისიანს, რა თქმა უნდა, შეუძლია პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩაერთოს. ეს პიროვნების კონსტიტუციით გარანტირებული სამოქალაქო უფლებაა. მაგრამ თუ იგი ამ ნაბიჯს გადადგამს, თავდაცვის მინისტრის თანამდებობა უნდა დატოვოს“, – განაცხადა პოლიტოლოგმა სტეფან გრიგორიანმა.

„მართლაც, კანონის თანახმად, ჯარი ნეიტრალურია და არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. თუმცა გამგეობის თავმჯდომარედ ჩემ არჩევას არსებულ ვითარებაში ახალი ელემენტი არ შემოაქვს“, – უპასუხა სარქისიანმა IWPR-ის კითხვას, ირღვევა თუ არა კონსტიტუციის მოთხოვნა, რომ „ჯარი რომელიმე პარტიასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და ნეიტრალური პოზიცია უნდა ეჭიროს“.

„რესპუბლიკურ პარტიასთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ და ბოლო საპარლმენტო არჩევნებზე პარტიულ სიაში მეორე ნომრითაც ვიყავი. ამჯერად არაფერი შეცვლილა, ერთადერთი განსხვავება ამ პროცესის ოფიციალური რეგისტრაციაა“, – განაცხადა სარქისიანმა.

„ჩემი მეგობრები დაადასტურებენ, რომ პრეზიდენტობის ამბიცია არასდროს მქონია“, – დასძინა თავდაცვის მინისტრმა ქოჩარიანის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის შესაძლო წამოყენების კომენტირებისას.

სარქისიანს პრეზიდენტობის სურვილი ღიად არასდროს გამოუხატავს, თუმცა, ქოჩარიანის მემკვიდრის რანგში მის სახელს ხშირად ახსენებენ.

ყრილობაზე რესპუბლიკურ პარტიას ბიზნესმენები, ხელისუფლების წარმომადგენლები, რეგიონის გუბერნატორები და ერევნის მერიც შეუერთდნენ. ამან პარტიის, როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის რეპუტაცია კიდევ უფრო გაამყარა. რესპუბლიკელთა რიგებში გაწევრიანდნენ ასევე სახალხო პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელი დეპუტატები – ძირითადად ბიზნესმენები.

პარლამენტის სპიკერისა და პარტიის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ტიგრან ტოროსიანის თქმით, რესპუბლიკური პარტიის გაძლიერება მისი დადებითი მიმართულებით განვითარებას ნიშნავს. „სომხეთის პოლიტიკური ცხოვრება უფრო ,,მოწიფულ“ ხასიათს იძენს, თუმცა, არც ისე სწრაფად, როგორც ჩვენ ვისურვებდით“, – განაცხადა ტოროსიანმა.

მან სიამაყით აღნიშნა, რომ სომხეთში რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანება მაღალი თანამდებობის დაკავების წინაპირობად მიიჩნევა.

ოპონენტთა განცხადებით, ეს ტენდენცია დემოკრატიიდან უკან გადადგმული ნაბიჯია.

„რესპუბლიკური პარტიის უსაფრთხოების რესურსები თავდაცვის მინისტრის პიროვნებაშია კონცენტრირებული, ფინანსურ რესურსებს ოლიგარქები წარმოადგენენ, ადმინისტრაციული რესურსები (არჩევნებზე ზეგავლენის საშუალება) კი ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერთა და მინისტრთა ხელშია თავმოყრილი“, – განაცხადა პოლიტოლოგმა სტეფან გრიგორიანმა.

,,მათ ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი აერთიანებთ და არა რაიმე იდეა. ეს მეტად სახიფათო მოვლენაა“, – თქვა IWPR-თან საუბრისას ოპოზიციის ლიდერმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ვაზგენ მანუკიანმა.

,,რესპუბლიკური პარტიის სპეციალური ყრილობის ჩატარების შემდეგ სომხეთში ერთპარტიული სისტემის შექმნის საშიში ტენდენცია გაჩნდა. რესპუბლიკელები დღეს იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათთვის წინააღმდეგობის ან კონკურენციის გაწევის სურვილი არც ერთ სამთავრობო პარტიას აღარ გაუჩნდება“, – აღნიშნა პოლიტოლოგმა ალაში იენოკიანმა.

,,სომხური ოპოზიცია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება – ის საკმაოდ მანიპულირებადია და კონკრეტულ გავლენიან პიროვნებებთან არის ასოცირებული. ამრიგად მის (რესპუბლიკური პარტიის) წინააღმდეგ გამოსვლას არც ოპოზიცია მოისურვებს“, – დასძინა იენოკიანმა.

რესპუბლიკური პარტია სომხეთში ერთადერთი პრო-სახელისუფლებო პოლიტიკური ძალა არ არის. წარმატებული ბიზნესმენის გაგიკ ცარუკიანის მიერ დაარსებულ ,,ბარგავაჩ ჰაიასტანს“ (,,წარმატებული სომხეთი“) პრეზიდენტობის ვადის დარჩენილი ორი წლის განმავლობაში რობერტ ქოჩარიანის სერიოზულ დასაყრდენად მიიჩნევენ.

რესპუბლიკურ პარტიასა და ,,ბარგავაჩ ჰაიასტანს“ შორის დაძაბული ურთიერთობაა. ამ უკანასკნელის ოფიციალური რეგისტრაცია სამი წლის წინ მოხდა, თუმცა, პარტიას დამფუძნებელი ყრილობა ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია, რაც სარქისიანისა და რესპუბლიკელების სხვა ლიდერთა დამცინავ კომენტარებს იწვევს. ისინი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალას ჯერჯერობით სრულფასოვან პარტიადაც კი არ მიიჩნევენ.

რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე ცარუკიანი რამდენიმე სხვა პირთან ერთად მიიწვიეს, თუმცა, მან დასწრებაზე უარი განაცხადა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ვაზგენ მანუკიანის თქმით, პროსამთავრობო პარტიების გააქტიურებამ ოპოზიციის გამოცოცხლება უნდა განაპირობოს. მისი ვარაუდით, აღნიშნული ორი პარტია არჩევნებზე ხმათა 30-40 პროცენტს მოიპოვებს. მანუკიანი დარწმუნებულია, რომ მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად ოპოზიციას კონსოლიდაცია დასჭირდება.

www.iwpr.net

# ჩეჩნეთის პარლამენტი პუტინს მხარს უჭერს

*გროზნოს პრომოსკოვური ელიტა რუსეთის პრეზიდენტს ერთგულებას ეფიცება.*

კაზბეკ ცურაევი,
გროზნო

ჩეჩნეთის პარლამენტმა, ყველას გასაოცრად, კენჭი უყარა რუსეთის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის წინადადებას, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მესამედ კენჭისყრის უფლება უნდა მიეცეს.

ჩეჩნეთის პარლამენტმა რუსეთის სხვა საკანონმდებლო ორგანოებისა და პოლიტიკური მოძრაობებისადმი მიმართვა ერთსულოვნად მიიღო. ის მოუწოდებს რუსეთის ფედერალური პარლამენტის ქვედა პალატას, სახელმწიფო დუმას, გააუქმოს მოქმედი კონსტიტუციის დებულება, რომლის შესაბამისად პრეზიდენტის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის არჩევა მხოლოდ ორჯერ შეიძლება.

“პრეზიდენტმა პუტინმა მმართველობის სადავეები ისტორიის ყველაზე ძნელ მომენტში ჩაიბარა, როდესაც სახელმწიფოში პოლიტიკური არეულობა და საკანონმდებლო ქაოსი სუფევდა, ქვეყანა კი ეკონომიკურად განადგურებული იყო“, – განაცხადა კოლეგების წინაშე გამოსვლისას ჩეჩნეთის პარლამენტის სპიკერმა დუკვახა აბდურახმანოვმა.

სპიკერის თქმით, პუტინმა ამ პრობლემებს წარმატებით გაართვა თავი, რაც მას უფლებას აძლევს კიდევ ერთი ვადით დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი.

ამ დადგენილების პროექტი ჩეჩნეთის პრომოსკოვური განწყობის პრეზიდენტის ალუ ალხანოვის თხოვნით შეიქმნა. იდეას რესპუბლიკის ყველაზე გავლენიანი პირი, პრემიერ-მინისტრი რამზან კადიროვიც ემხრობა. მისი მხარდაჭერის გარეშე პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ მიიღებდა.

“ჩვენ ვხედავთ, რუსეთის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე როგორც იზრდება, ვხედავთ, პრეზიდენტი რუსეთის რეგიონებს, მათ შორის ჩეჩნეთსაც, რა ყურადღებას აქცევს“, – განაცხადა კადიროვმა.

პოლიტოლოგთა უმრავლესობისთვის ამ დადგენილების მიღება კარგად დადგმული სპექტაკლია, რომელიც პუტინის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრასთან ერთად, ჩეჩნეთის დადებით კონტექსტში წარმოჩენასაც ისახავს მიზნად.

რუსი პოლიტიკოსები და პარლამენტარები ამ დადგენილებას ეჭვით მოეკიდნენ.

მთავრობის მხარდამჭერი პარტიის „ედინაია როსიას“ წევრის მიხეილ ემელიანოვის თქმით, „კონსტიტუციის შეცვლა როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით აზრს მოკლებულია. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, პრეზიდენტ პუტინს ამ საკითხისადმი დამოკიდებულება არაერთხელ გამოუთქვამს და აღუნიშნავს, რომ კონსტიტუციის შეცვლასა და თავისი უფლებამოსილების გახანგრძლივებას არ აპირებს“.

თავად პუტინმა ახლახანს საფრანგეთის ტელევიზიას განუცხადა, რომ „თუ სახელმწიფოს ძირითადი კანონის სიმტკიცეს ვერ შევინარჩუნებთ, ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა არ დამყარდება“.

პოლიტოლოგებისთვის დადგენილებაზე მეტად მისი მიღების ადგილია საყურადღებო.

“რუსეთის ფედერაციის ყველაზე „პრობლემურ“ რეგიონში, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში წამოყენების პოლიტიკური აუცილებლობა სწორედ ამ წინადადების სადავო ხასიათის გამო წარმოიშვა“, – აცხადებს რუსეთის ოპოზიცის წარმომადგენლისა და ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის მრჩეველი მარინა ლიტვინოვიჩი.

მისი თქმით, ანალოგიური წინადადება პუტინის მესამე ვადით არჩევის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ჩრდილოეთ ოსეთშიც წამოაყენეს. რეგიონი, სადაც ბესლანის ტრაგედია მოხდა, ასევე მეტად პრობლემურია.

“ამით სურთ თქვან, რომ ამ რეგიონებშიც კი პუტინით უკმაყოფილო არავინაა“, – აღნიშნა მან.

“ამჟამინდელი პოლიტიკური ელიტა PR-ის წაფუძველზე წარმოიქმნა, – ეთანხმება ამ მოსაზრებას პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვიც, – საზოგადოებასთან ურთიერთობა მისი პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩეჩნეთს ჩრდილოეთ კავკასიის მშვიდობის ოაზისად გვიხატავენ. (მეამბოხე ლიდერები შამილ) ბასაევი და (აბდულ-ხალიმ) საიდულაევი დაიღუპნენ, გამოცხადდა ამნისტია, რომელიც სასწრაფოდ პოლიტიკურ წარმატებად მოინათლა“.

,,ამ პროპაგანდულ კონსტრუქციაში ჩეჩნეთის რეგიონულ ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება. მას კრემლის ყველაზე თანმიმდევრულ სტრატეგიულ პარტნიორად წარმოგვიდგენენ“, – დასძენს იგი.

მარკედონოვის თქმით, დასაშვებია, რომ ჩეჩნეთში მოსკოვის სტრატეგია პუტინის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ შეიცვლება, რაც კადიროვისა და მისი გუნდისათვის შეიძლება ხელსაყრელი არ აღმოჩნდეს.

“პუტინი „ჩეჩენიზაციის“ პოლიტიკის შემქმნელი და გამტარებელია“, – ამბობს მარკედონოვი და მიანიშნებს, რომ მოსკოვი მის ერთგულ ჩეჩენ მოხელეებს რესპუბლიკის მართვაში ხელს უწყობს.

“ხელისუფლების სათავეში პუტინის ყოფნის მაქსიმალურად გახანგრძლივებას კადიროვისა და მისი თანამებრძოლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახალი ლიდერის მოსვლა მათთვის სახიფათოა, თუნდაც მხოლოდ თეორიულად, რადგან ჩეჩნური პოლიტიკის პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს“.

საქმე ისაა, რომ რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტი ჩეჩნეთისთვის ყველაზე მისაღებ ფიგურად მხოლოდ პარლამენტარებს როდი მიაჩნიათ. ზოგიერთი რიგითი მოქალაქეც აღნიშნავს, რომ ხელისუფლებაში პუტინის ყოფნა მათთვის ხელსაყრელია. მათ ეშინიათ, რომ თუ შემდეგი პრეზიდენტი დღევანდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი გახდება, ჩეჩნეთის მართვის ფუნქცია უშიშროების სამსახურებს დაეკისრება, ხოლო „ჩეჩენიზაციის“ პოლიტიკა დავიწყებას მიეცემა.

35 წლის ილიას ამაევი ჯარში გაწვევისა და ჩეჩენი ახალწვეულებისთვის ჩეჩენი მეთაურის დანიშვნის ამბავს იხსენებს. „პუტინმა გააცნობიერა, რომ ჩეჩნებზე დაყრდნობა მისთვის უმჯობესია. ამ მიდგომას თავად ჩეჩნებიც იწონებენ“, – ამბობს ამაევი.

საზოგადოების ნაწილი კი ასეთ მიმტევებლობას არ იჩენს. 1999 წელს ჩეჩნეთში მეორე სამხედრო კამპანიის დაწყების შედეგად თავსდამტყდარ განსაცდელში ისინი სწორედ პუტინს ადანაშაულებენ.

“ბევრი ჩეჩენისთვის პუტინი აბსოლუტურ ბოროტებას განასახიერებს, – ამბობს ლიტერატურის მასწავლებელი უსამ ბაკაევი, – ხალხს იმედი აქვს, რომ მისი წასვლის შემდეგ პოლიტიკა ოდნავ მაინც შეიცვლება“.

ბაკაევის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის უმჯობესი იქნებოდა „დუმილი შეენარჩუნებინა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა პუტინის მესამე ვადით არჩევის წინააღმდეგია. ასეთი მოწოდებებით ხელისუფლება ჩეჩენი ხალხის თვალში საკუთარ დისკრედიტაციას ახდენს“.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის „მემორიალის“ ნაზრანის განყოფილების ხელმძღვანელი შაჰმან აკბულატოვი ამ მოსაზრებას იზიარებს. „ხელისუფლებას სულაც არ ადარდებს, რომ რესპუბლიკის უბრალო მოსახლეობისთვის პუტინი მკვლელია“, – ამბობს იგი.

“ჩეჩნეთის პოლიტიკური რეალობის დამახასიათებელი ნიშანი მისი ცალკეულ პირებზე დამოკიდებულებაა, – მიაჩნია ჩეჩენ პოლიტოლოგს ედილბეკ ხასმაგომადოვს, – ამდენად, ლიდერის შეცვლა ძალაუფლებისა და საკუთრების ხელახალ გადანაწილებას გამოიწვევს“.

მისი თქმით, რამზან კადიროვის შესაძლო შემცვლელიც თავად პრემიერ-მინისტრის გარემოცვიდან იქნება.

“სწორედ ამიტომ რამზან კადიროვს გარეშე პირებზე მეტად თავისი წრის ხალხის ეშინია. ამასთან, უკვე შესამჩნევი ხდება, როგორ დაიღალა მისი გარემოცვა ლიდერის არაპროგნოზირებადი და ავტორიტარული ქმედებებით“, – აღნიშნა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

## აუქციონის ორგანიზატორები ვაჭრობის წესებს ამკაცრებენ

აუქციონის სახლების ხელმძღვანელებმა ლოტების მკაცრი შემოწმება დაიწყეს. ამის მიზეზად აუქციონზე გასატანი ნივთების "საეჭვო წარმომავლობა" დასახელდა.

როგორც ერმიტაჟის დირექტორმა მიხაილ პიოტროკოვსკიმ განაცხადა, ბოლო პერიოდში, თითქმის ყველა ვაჭრობისას, მოპარული ნივთების გაყიდვის ფაქტები დაფიქსირდა.

რუსეთის ფედერაციის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ხელმძღვანელის მოადგილის ანატოლი ვილკოვის ინფორმაციით, 2006 წლის ივნისში "კრისტის" აუქციონიდან მოიხსნა რუსი არქიტექტორის 9 ნამუშევარი, რომელიც რუსეთის ლიტერატურისა და კულტურულ მემკვიდრეობათა ფონდის არქივიდან იყო მოპარული.

ხელოვნებათმცოდნეები და აუქციონის თანამშრომლები საინფორმაციო ბანკის შექმნის ინიციატივით გამოდიან. ბანკში თავს მოიყრის ყველა ინფორმაცია იმ მოპარული ნივთების შესახებ, რომლებზეც ძებნაა გამოცხადებული. ბანკი ახალი მონაცემებით რეგულარულად განახლდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 26 ივლისს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში *რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მოტოროლას რადიოსადგურის სათადარიგო ელემენტი პ-040-ის რაოდენობა ნაცვლად 87-სა განისაზღვროს 261 ცალით.
- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მინიმუმ ორ სიხშირეზე მომუშავე მოტოროლას რადიოსადგური პ-040-ის სახელწოდებიდან ამოღებულ იქნას სიტყვები "მინიმუმ ორ სიხშირეზე მომუშავე" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მოტოროლას რადიოსადგური პ-040".
- განცხადების მე-2 ლოტით გათვალისწინებული მოტოროლას რადიოსადგური პ-040-ის რაოდენობა ნაცვლად 22-სა განისაზღვროს 42 ცალით.

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული *რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*

## შ.პ.ს. "ელიტელექტრონიკსი" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში სავაჭრო-საქმიანი შენობის ესკიზურ პროექტზე

კონკურსის მიზანია, ქ. ბათუმის ცენტრში (ყოფილი უნივერმაღის ადგილას) ახალი თანამედროვე სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად საუკეთესო არქიტექტურული წინადადების შერჩევა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალიწინებულია (ექვივალენთი ლარებში) :

**ერთი პირველი პრემია 5000 აშშ**
**ერთი მეორე პრემია 3000 აშშ**
**ერთი მესამე პრემია 1000 აშშ**

საკონკურსო პირობების გაცემა 01.08.06 - 15.08.06
საკონკურსო მასალების ჩაბარება 20.10.06 18სთ-მდე
მისამართი - "დიზაინცენტრი" ირ. აბაშიძის ქ. 41 თბილისი
"ელიტელექტრონიქსი" გამსახურდიას ქ, 47 ბათუმი
დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაკტო ტელ: **25-10-22 877 40-60-99**
ელ-ფოსტა: designcenter@mail.ru

# ლიანა ისაკაძის ორი იუბილე

### "ხელოვნების ზეიმი" წელს კვლავ ბათუმში გაიმართება

ია ვეკუა



ზუსტად 50 წლის წინ პატარა ლიანა ისაკაძე პირველად გავიდა სცენაზე და მსმენელს თავისი პირველი აკორდები მოასმენინა. ქართული მუსიკალური სივრცის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა პრიმამ მას შემდეგ ხუთი ათეული წელი გაატარა მსოფლიო სცენაზე, თუმცა მაინც მიიჩნევს, რომ ყველზე დიდი საქმე საკუთარ სამშობლოში უნდა გააკეთოს. ეს საქმე კი კლასიკური მუსიკის ფესტივალი "ხელოვნების ზეიმია", რომელიც უკვე ხუთი წელია სტაბილურად ტარდება და წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკლური მოვლენის სტატუსს ატარებს.

2002 წელს ლიანა ისაკაძისა და მამუკა ხაზარაძის ინიციატივით დაარსებული ფესტივალი სამი წლის განმავლობაში ბორჯომში ტარდებოდა და ბორჯომის ფესტივალის სახელითაც იყო ცნობილი, თუმცა უკანასკნელი ორი წელია ფესტივალმა გეოგრაფია შეიცვალა და ბათუმში გადაინაცვლა (არ არის გამორიცხული, რომ მომავალი წლიდან ფესტივალი კვლავ დაუბრუნდეს ბორჯომს). თუმცა ამ ცვლილებას ღონისძიების ხარისხსა და პერიოდულობაზე არ უმოქმედია. მეტიც, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, "ხელოვნების ზეიმი" ყოველ წელს უფრო იხვეწება.

წლევანდელი ფესტივალი მაინც განსაკუთრებული იქნება. გარდა იმისა, რომ მეხუთედ ტარდება, ლიანა ისაკაძის სასცენო მოღვაწეობის 50 და დაბადებიდან 60 წლის იუბილესაც ემთხვევა. ამიტომ ფესტივალს წელს "ხელოვნების ზეიმის" ნაცვლად "ლიანა ისაკაძის საიუბილეო საღამოები" ერქმევა.

**ლიანა ისაკაძე:** "ამ ფესტივალს მთელი წლის განმავლობაში ველოდები. მაშინაც კი, როდესაც ძალიან მნიშვნელოვან პროექტებზე ვმუშაობ, გონების ნაწილი "ხელოვნების ზეიმს" დასტრიალებს. წელს კი ყველაფერი განსაკუთრებულია. საიუბილეო კონცერტს მიუნხენშიც მიკეთებენ, მაგრამ სამშობლოში სულ სხვა განწყობაა - მე აქ ვისწავლე ცხოვრება, ადამიანებთან ურთიერთობა, დაკვრა. ძალიან მახარებს ისიც, რომ საქართველოში არიან ბიზნესმენები, ვისთვისაც ხელოვნების სამსახური მნიშვნელოვანია. მამუკა ხაზარაძე, "საქართველოს მინის და მინერალური წყლების კომპანია" და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ყოველთვის გვერდით ედგნენ ჩვენს ფესტივალს, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ."

ფესტივალი 18-19 აგვისტოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდება. როგორც წესი, "ხელოვნების ზეიმს" მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები სტუმრობენ. გამონაკლისი არც წელს იქნება და ბათუმს საფრანგეთის, შვეიცარიისა და ლიტვის მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები ეწვევიან. მსმენელის წინაშე ასევე წარდგება აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია საულუს სონდეცკისი.

ასევე კონცერტებში მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მუსიკოსები: მევიოლინეები ხათუნა თუშმალიშვილი და ეკატერინე ფანცხავა, ალტისტი სერგეი ეროიანი და ჩელისტი მიხეილ ხოშტარია. ამ შემადგენლობასთან და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატ თამარ ლიჩელთან ერთად ლიანა ისაკაძე ფრანგი კომპოზიტორის ერნესტ შოსონის ნაწარმოებებს შეასრულებს.

ფესტივალის პროგრამა შემდეგია:

**18 აგვისტო**
*(პირველი განყოფილება)*

ბახი - კონცერტი ორი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის. სოლისტები ლიანა ისაკაძე, პიერ ამოიალი.

ბახი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის. სოლისტი პიერ ამოიალი.

მონაწილეობს ბათუმის სიმფონიური ორკესტრის კამერული შემადგენლობა, დირიჟორი საულუს სონდეცკისი (ლიტვა).

*(მეორე განყოფილება)*

შოსონი - კონცერტი ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და სიმებიანი კვარტეტისთვის.

სოლისტები: ლიანა ისაკაძე, თამარ ლიჩელი, ქეთევან, თუშმალიშვილი, ეკატერინე პირკულოვა, სერგო ეროიანი და მიხეილ ხოშტარია.

**19 აგვისტო**
*(პირველი განყოფილება)*

მოცარტი - ოპერა "ფიგაროს ქორწინების" უვერტიურა.

ვივალდი - კონცერტი ვიოლინოს, ვიოლონჩელოსა და ორკესტრისთვის.

ოფენბახი - ადაჟიო და რონდო Concerto Militar-იდან.

ასრულებენ ბათუმის სიმფონიური ორკესტრი. სოლისტები ლიანა ისაკაძე და ივან მონიგეტი.

*(მეორე განყოფილება)*

ჩაიკოვსკი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის. სოლისტი ლიანა ისაკაძე, ბათუმის სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი დავით მუქერია).

■ ■ ■

ბათუმის ფესტივალის დასრულების შემდეგ ლიანა ისაკაძე კვლავ მუშაობას შეუდგება. უკანსაკნელი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან პროექტად ოთხი კონცერტის DVD ვერსიების ჩაწერას მიიჩნევს.

**ლიანა ისაკაძე:** "ბოლო წლებში ნაკლებად ვმონაწილეობ კონცერტებში. ხშირად მიწევს უარის თქმა სხვადასხვა საინტერესო შემოთავაზებაზე. თუმცა ამ ვიდეოკონცერტების ჩაწერაზე სიამოვნებით დავთანხმდი. ფილმებს გერმანელები იღებენ, ხოლო გადაღებები მოსკოვში იქაურ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გვექნება. ფილმში ასევე გამოყენებული იქნება ჩემი საუბრები და კომენტარები."

ლიანა ისაკაძე 2 აგვისტოს 60 წლის გახდა. თუმცა ამ დღემ სამშობლოში გამოსამგზავრებელ მზადებაში ჩაიარა. "ყველა მირეკავდა, მილოცავდა, მე კი სტუმრების მისაღებად ვერ ვიცლიდი. აქეთ მომიწევდა გული, რადგან ვიცოდი, რომ დაბადების დღეს აქ უფრო შევიგრძნობდი - მე ხომ საქართველოში დავიბადე!"

# ომი და მშვიდობა



ლევ ტოლსტოის რომანის "ომი და მშვიდობას" სატელევიზიო ეკრანიზაციის გადაღება 2006 წლის 7 აგვისტოს ლიტვაში დაიწყო. ფილმის შექმნისთვის 26 მილიონი ევრო გამოიყო და მონაწილეობას იღებს ექვსი ქვეყანა: რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი და ესპანეთი. ფილმის ეკრანიზაციის დამკვეთი იტალიური ტელეკომპანია RAI-ა. ფილმის ვერსიის რეჟისორად შერჩეულია რობერტ დორჰნელმი, რომელიც სტივენ სპილბერგის ცნობილ პროექტზე Into the West-ზე მუშაობდა. ხოლო ფილმის სცენარისტი ენრიკო მედიოლია, რომელიც 1960 და 1970 წლებში მუშაობდა ლუკინო ვისკონტის ფილმებზე "როკო და მისი ძმები", "ლეოპარდი", "ლუდვიგი", "უდანაშაულო" და სხვები. 1984 წელს კი მედიოლიმ დაწერა სცენარი სერჯო ლეონეს ფილმისთვის "ერთხელ ამერიკაში". მთავარი გმირების როლებს შეასრულებენ: ფრანგი კლემენს პოეზი (ნატაშა როსტოვა), ალექსანდრ ბეიერუ (პიერ ბეზუხოვი), და იტალიელი ალესიო ბონი (ანდრეი ბოლკონსკი). ხოლო მოხუცი თავადის ნიკოლ ბოლკონსკის როლს ითამაშებს მალკოლმ მაკდაუელი. ტოლსტოის რომანი რამდენჯერმე იყო ეკრანიზებული. პირველად 1915 წელს, ხოლო შემდეგ 1968 და 1972 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების გადაღებები ყველაზე ცნობილია.

### "შვარცკოფ პროფესიონალის" სტუდია-სალონი

12 აგვისტოს "შვარცკოფ პროფესიონალი" მართავს სტუდია-სალონის გახსნის საზეიმო საღამოს, სადაც უცხოეთიდან მოწვეული სტილისტი მოწვეულ სტუმრებს შესთავაზებს ახალი სეზონის სხვადასხვა ვარცხნილობებს. ამასთან ერთად, წარმოდგენილი იქნება წამახალისებელი გათამაშება და შოუპროგრამა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მაია ბარათაშვილი და მისი ჯაზბენდი. საღამოს წარუძღვება თამუნა გომართელი.

13 აგვისტოს, ჩატარდება საპრეზენტაციო სემინარი, რომელზეც მოწვეული იქნებიან ადგილობრივი სტილისტები და მათ საშუალება მიეცემათ ეზიარონ თმაზე მუშაობის თანამედროვე ტექნოლოგიებს. 14 აგვისტოს კი მოეწყობა ღია კარის დღე, რომელზედაც უცხოელი სტილისტი უფასოდ მოემსახურება გახსნის საღამოზე წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებულ სტუმრებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "რუსთავწყალი" აცხადებს ღია ტენდერს ფოლადის უნაკერო მილების შეძენაზე.

დ-50 - 100 მ
დ-66 - 50 მ
დ-76 - 100 მ
ჟ-89 - 100 მ
დ-114 - 500 მ
დ-159 (ან დ-168) - 250 მ
დ-219 - 250 მ
დ-273 - 150 მ
დ-325 - 100 მ
დ-376 - 100 მ
დ-426 - 50 მ
დ-530 - 50 მ
დ-630 - 20 მ
დ-720 - 20 მ
დ-820 - 20 მ

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც "სახალხო ბანკი"-ს რუსთავის ფილიალში (ბ. კ. № 220101413), სადაც რუსთავის ხაზინას (აა № 300064040) გახსნილი აქვს ანგარიში, უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით, თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის.: ქ. რუსთავი წმინდა ნინოს ქუჩა №5 შპს "რუსთავწყალი"-ს ადმინისტრაციული შენობა I სართული სახელმწიფო შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა გამოცხადების დღიდან 2006 წლის 24 აგვისტოს 16 საათამდე.

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 25 აგვისტოს 10-დან 16 საათამდე.

6. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს მე-5 პუნქტში აღნიშნულ ვადაში მე-7 ან მე-8 პუნქტში ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა.
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.
- არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება.
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც, ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება, ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 25 აგვისტოს 16 საათზე.

11. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, წმინდა ნინოს ქუჩა №5 I სართული. სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

ტელ.: (824) 19 36 04, (899) 41 33 94.

*სატენდერო კომისია*

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 19.12.378

„25" ივლისი 2006 წელი

## შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის" ლიკვიდაციის შესახებ

შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახური" დაფუძნებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის 13/07/2000 წლის N13.18.173 დადგენილებით.

"საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის "მერიის დებულების მე-3 მუხლის "პ" პუნქტის შესაბამისად შეიქმნა ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური, რომლის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს განეკუთვნება სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებსა და წყალქვეშა ტექნიკური და სხვა საძიებო სამუშაოების ჩატარება, რასაც აგრეთვე ახორციელებს ქალაქ თბილისის მერიიის საწარმო - შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახური".

აღნიშნულიდან გათვალისწინებით ქ. თბილისის მერიის საწარმო შპს "წყალში მაშველთა სამსახურისა" და ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულებებით განსაზღვრული ფუნქციების დუბლირების თავიდან აცილებისა და ფუნქციური საქმიანობის საერთო კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია, მოხდეს შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამახურის" ლიკვიდაცია და მისი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება "ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის" მიერ.

"მეწარმეთა შესასებ" საქართველოს კანონის მე-14 და 47. 3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურს სამაშველო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გადაეცეს შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის საკუთრებაში არსებული, საწესდებო კაპიტალში არშესული (ბალანსზე რიცხული) ქონება, სულ 40860. 24ლარის ღირებულებით (დანართი 1);

2. განხორციელდეს შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის ლიკვიდაცია;

3. შპს "ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის ლიკვიდატორად დაინიშნოს საზოგადოების დირექტორი ნოდარ ჭუმბაძე, დაევალოს ლიკვიდაციის პრიცესის უმოკლეს ვადაში დასრულება;

4. დაევალოს ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურისა და "შპს ქ. თბილისის წყალში მაშვეთა სამსახურის" ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

5. წინამდებარე დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გაფორმების დღიდან;

6. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის პრემიერის პირველ მოადგილეს გ. მელაძეს.

*ქ. თბილისის პრემიერი თ. ქურხული*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის წყალი", აცხადებს ღია ტენდერს **ქ. თბილისში, სანზონის დასახლებაში არბოს ქუჩის წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.**

2. შესყიდვის ობიექტებია:

**არბოს ქუჩის წყალსადენის ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს წყალსადენის მაგისტრალური ქსელის და განშტოებების შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახის (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **29 აგვისტოს** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **30 აგვისტოს** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

8.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით:

**ზურაბ ღონღაძე,**
ტელ: 487 140;
ელ. ფოსტა: zgongadze@Tbilisiwater.com

ბ) საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით

**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: 99 67 82;
ელ. ფოსტა: kkatsitadze@ Tbilisiwater.com

*სატენდერო კომისია*

# სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ბალანსზე რიცხული, საგურამოს დასახლებაში მდებარე 32კვ.მ ფართის მაღაზიის იჯარით (გამოსყიდვის უფლების გარეშე), აუქციონის წესით გაცემის შესახებ

*ინფორმაცია საიჯარო ობიექტის შესახებ:*
- მეიჯარე - სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".
- მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი - ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, ტელ. 77 90 06.
- აუქციონის ჩატარების თარიღია - გაზეთში გამოქვეყნების დღიდან მე-15 დღის 12 საათი.
- საიჯარო ობიექტი - სოფ.საგურამოს დასახლებაში მდებარე 32კვ.მ ფართის მაღაზია - საიჯარო ქირის ყოველწლიური საწყისი თანხა შეადგენს 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- იჯარის ვადად განსაზღვრულია **5 (ხუთი)** წელი ხელშეკრულების დადების დღიდან..
- ამასთან ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ ადგილზე გაეცნოს საიჯარო ობიეტქს.
- აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს გაზეთში გამოქვეყნების დღიდან 14 სამუშაო დღის განამლობაში, 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც მე-14 კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადის მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
- "ბეს" სიდიდე განისაზღვრება წლიური საიჯარო ქირის 10%-ის ოდენობით, ხოლო "ბიჯის" სიდიდე 5%-ის ოდენობით.

თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ანგარიშზე:

*სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი.*
*საიდენტ. კოდი 204900919;*
*ა.ანგარიში 007609318*

*სააუქციონო პირობები:*
- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობით განსაზღვრულ პირს, თუ იგი მოქმედებს ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით;
- აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, მე-4 სართული, ოთახი N3. საკონტაქტო პირი - **ია ლომთათიძე**. ტელ. 77 90 06
- აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია სააუქციონო კომისიის მიერ გადაეცემა კორპორაციას, რაც მტკიცდება 10 დღის ვადაში.

- აუქციონში გამარჯვებულმა პირმა საიჯარო ქირა უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად (მომდევნი თვის არაუგვიანეს 15-ტი რიცხვისა), წინააღმდეგ შემთხვევაში მეიჯარე გამოიყენებს კანონით დადგენილ საჯარიმო სანქციებს.
- აუქციონის შედეგების ოქმზე გამარჯვებული მონაწილის მიერ ხელმოწერის უარის შემთხვევაში მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება;
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით, რომ აუქციონის "მონაწილეები" ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, მაშინ მონაწილეებს შეტანილი "ბე" არ უბრუნდებათ;
- აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება საიჯარო ქირის ანგარიშსწორებაში;
- აუქციონში დამარცხებულ "მონაწილეს" აუქციონოს შედეგის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში "მონაწილის" მოთხოვნით "ბე" უბრუნდება "ბეს" შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.
- მეიჯარე იტოვებს უფლებას ყოველი წლის მე-11 თვეს ინფლიაციური პროცესების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახედოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საიჯარო ქირის ოდენობას და მოახდინოს კორექტირება, ამასთან აუცილებლობიდან გამომდინარე მოშალოს ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

*სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:*
- განაცხადი, დამტკიცებული ფორმის მიხედვით (აუქციონში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე);
- "ბეს" შეტანის ქვითარი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუ ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით.

*სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია"*

# ინფორმაცია სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" საკუთრებაში არსებული ზოგიერთი გამოუყენებელი ფართობების კომერციული კონკურსის ფორმით იჯარით (გამოსყიდვის უფლების გარაეშე) გაცემის შესახებ

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან საზღვარგარეთის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**ინფორმაცია საკონკურსო პირობების შესახებ:**
მეიჯარე: ს/ს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".

**ობიექტების მისამართები**: თერჯოლის რაიონი სოფელი სარბევი, მცხეთის რაიონი სოფელი საგურამო.

1. თერჯოლის ფილიალის ადმინისტრაციულ შენობაში I სართულზე 150კვ.მ ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 3600 (სამიათას ექვსას) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
2. თერჯოლის ფილიალის ავარიული სამსახურის შენობაში 60კვ.მ ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 1440 (ათას ოთხას ორმოც) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3. საგურამოში სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალის ტერიტორიაზე მდებარე ექსპლუატაციაში არ შესული საკომპრესორო სადგურის კომპლექსში შემავალი 657კვ.მ ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 4800(ოთხიათას რვაასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
4. საგურამის ფილიალის ტერიტორიაზე სასათბურე მეურნეობაში 2070 კვ.მ ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 3600 (სამიათას ექვსას) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- წინასწარი შესატანი "ბეს" სიდიდე შეადგენს წლიური საიჯარო ქირის მინიმუმ 10%-ს. გამარჯვებულის მიერ შეტანილი "ბეს" თანხა იანგარიშება ყოველთვიური ქირის ანგარიშსწორებისას.
- მეიჯარე იტოვებს უფლებას ყოველი წლის მე-11 თვეს ინფლიაციური პროცესების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახედოს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საიჯარო ქირის ოდენობას და მოახდინოს კორექტირება, ამასთან აუცილებლობიდან გამომდინარე მოშალოს ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იჯარის ვადა: **5 (ხუთი)** წელი.

**საკონკურსო პირობები:**
- აუცილებლობის შემთხვევაში ობიექტის მიმდინარე და კაპშეკეთების სამუშაოების ჩატარება;
- ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
- ეკოლოგიური პირობების დაცვა.
- საიჯარო ფართის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობის აღება.
- საიჯარო ქირის გადახდა ყოველთვიურად (მომდევნი თვის არაუგვიანეს 15-ტი რიცხვისა)
- ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა.
- მეიჯარეზე ყოველ ექვსთვეში ერთხელ ინფორმაციის წარდგენა ობიექტთან დაკავშირებით.
- საკონკურსო პირობების სრულად დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გამოყენება.

**საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები;**
- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე(კონკურსში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე)
- კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადებები უნდა იყოს მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ.
- მეიჯარის საანგარიშსწორებო ანგარიშზე - ქ. თბილისის "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ანგ.N007609318, კოდიN220101502, "ბეს" შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუკი ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- კონკურსში გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ საიჯარო ქირას, კონკრეტული თანხის ჩაწერით.
- კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მიმდინარეობს საკონკურსო ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 300 არაგველის N24. (საკონტაქტო პირი **ია ლომთათიძე ტ.77-90-06)**
- კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მთავრდება ბოლო 14-ე კალენდარულ დღეს 1700 საათზე. იმ შემთხვევაში, თუ 14-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
- დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე არ მიიღება.
- კომერციულ კონკურსში დამარცხებულ "მონაწილეს" კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში "მონაწილის" მოთხოვნით "ბე" უბრუნდება.
- კონკურსი ჩატარდება განცხადებების მიღების დამთავრების მომდევნო დღეს, დღის 12-სთ-ზე.

*სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია"*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატი (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობისა და ეზოს ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N8-ში არსებული სამანევრო სახლის ნაწილის სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

**ლოტი N1**: ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრა-ციული შენობისა და ეზოს სარეკონსტრუქციო-სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები: ა) შენობის ჰოლისა და მეორე სართულის დერეფნების სამღებრო სამუშაოები; ბ) დარბაზის გადატიხრვა და შეკეთება; გ) I სართულის მარცხენა ფრთის ფანჯრების შეცვლა; დ) II სართულზე ტუალეტისა და სველი წერტილის მოწყობა; ე) ელექტროკარადისა და ელექტროკაბელის შეცვლა; ვ) ოთხი ავტოფარეხის შეკეთება. ზ) ეზოს მოპირკეთება ქვაფენილით.

**ლოტი N2:** ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N8-ში არსებული სამანევრო სახლის I სართულის ნაწილის სარეკონსტრუქციო-შესაკეთებელი სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 15 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალი-ფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 29 აგვისტოდან 2006 წლის 30 აგვისტოს 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25 (ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობა).

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა უნდა იქნეს საგადასახადოდან);

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარასებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 29 აგვისტოდან 30 აგვისტოს 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საიდენ. კოდი: 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

6. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ზვიად მაკარაძე, ტელ: 7-26-43, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

## მოკლედ

### მედინა "ბარსას" პრეზიდენტობისთვის ემზადება

კატალონიური "ბარსელონას" პრეზიდენტობის ბოლო კანდიდატად ადვოკატი იორდი მედინა დასახელდა. მედინა, რომელიც 2003 წელს ერთხელ უკვე დამარცხდა "ბარსას" არჩევნებში, წლეულს განახლებული პროგრამით აპირებს გულშემატკივართა წინაშე წარდგომას. "ბარსელონას" პრეზიდენტის არჩევნები სექტემბერში გაიმართება.

### "რეჯინას" "იუვეს" ბედი ემუქრება

სერია ა-ს საფეხბურთო კლუბი "რეჯინა" "იუვეს" ბედს გაიზიარებს იმ შემთხვევაში, თუ მის პრეზიდენტს ლილო ფოტის თამაშების გარიგებაში მოსყიდვის ბრალდება დაუმტკიცდება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მას შემდეგ მიმართეს სამართალდამცავებს გამოძიების ჩატარების მოთხოვნით, რაც "რეჯინას" პრეზიდენტის სატელეფონო საუბრის ჩანაწერები გახდა ცნობილი.

### დორასომ ნაკრები დატოვა

საფრანგეთის "პარი სენ ჟერმენის" ნახევარმცველის ვიკაშ დორასოს განცხადებით, ქვეყნის პირველ გუნდში თამაშის გაგრძელებას აღარ აპირებს.

32 წლის ფეხბურთელს საფრანგეთის ნაკრებში 1999 წელს ჰქონდა დებიუტი. დორასო რაიმონ დომენიკმა გერმანიაშიც იახლა, თუმცა ფეხბურთელი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა მოედანზე - სამხრეთ კორეასთან მეორე ტაიმში.

### "მანჩესტერმა" ჯეიმსის შემცვლელი იპოვა

ფრანგული "რენისა" და შვედეთის ნაკრების მეკარემ ანდრეას ისაქსონმა შესაძლოა ინგლისში გააგრძელოს კარიერა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა შვედ მეკარეს დევიდ ჯეიმსის შემცვლელად მოიაზრებს.

ტრავმის გამო ისაქსონმა საფრანგეთის პირველი ტურის მატჩში "ლილის" წინააღმდეგ ვერ ითამაშა.

### რიბერის პოლიცია იცავს

ფრანგული "მარსელის" ნახევარმცველი ფრანკ რიბერი პოლიციელთა გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება მას შემდეგ, რაც საჯაროდ განაცხადა, რომ კლუბის დატოვება უნდა. რიბერის დაცვა მას შემდეგ მიუჩინეს, რაც ფეხბურთელს "მარსელის" თავგადაკლული ქომაგები დაემუქრნენ.

ბრიტანული "გარდიანის" ცნობით, ლონდონის "არსენალი", სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გააფორმებს ოფიციალურ კონტრაქტს საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველთან.

ლონდონური კლუბი ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ 13,5 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდის.

### მერტერსაკერმა "ვერდერი" აირჩია

ბუნდესნაკრების მცველმა პერ მერტერსაკერმა ბრემენის "ვერდერთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

21 წლის ფეხბურთელი სამი სეზონის განმავლობაში იცავდა "ჰანოვერის" ღირსებას, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე კი ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი იყო.

"ფეხბურთელი, რომელმაც ასე დამაჯერებლად ითამაშა მსოფლიო პირველობაზე, აუცილებლად გააძლიერებს ჩვენი გუნდის დაცვას", - განაცხადა ბრემენელთა თავკაცმა ტომას შააფმა.

### ვიერი თამაშს აგრძელებს

იტალიელმა თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ საფეხბურთო კარიერის დასრულება გადაიფიქრა და, სულ მცირე, ერთი სეზონით "სამპდორიას" ღირსებას დაიცავს.

ჯერჯერობით ვიერი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა, ახალ კლუბთან ერთად ვარჯიშის დაწყებას არ ჩქარობს.

მამუკა კალმახელიძე და ზაზა ტალახაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ამირან (ბაღდო) ანდრიაძე**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### შენიშვნა

სსიპ "ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის" საკონკურსო განცხადებაში არის გამორჩენილი თანამდებობა არქეოლოგიის განყოფილების უფროსი - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

### ინფორმაცია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადების შესახებ

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ქ. თბილისში თამარაშვილის ქუჩა №15 ა-ში მდებარე შენობის სამინისტროს კუთვნილი მე-5 და მე-6 სართულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სააქციო საზოგადოება "მონოლითმშენი", რომელთანაც 2006 წლის 27 ივნისს დაიდო "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულება.

### ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 26 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში ვარდების ბაღის, ვეტერანთა პარკის, ვერის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 26 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში ვარდების ბაღის, ვეტერანთა პარკის, ვერის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს მე-6 ლოტი (პოზიცია): 6. ლოტი - წითელი (წვრილმარცვლოვანი) ქვიშის შეძენა, ტრანსპორტირება და დატკეპვნა ბაღ-პარკებში გზა-ბილიკებისა და მოედნების მოსაწესრიგებლად. საერთო მოცულობა - 300 $მ^3$

### რას ამბობს ბიბლია ჩვენი ყოველდღიური ყოფის შესახებ

**www.godsplan-today.com**

(რუსულად, ინგლისურად, ბერძნულად) ან წიგნის სახით. "ღმერთის გეგმა ამ დროისთვის" (სურვილის მიხედვით უფასოდ).
*The Dawn, 199 Railvoad Ave,*
*East Ruthevford NY 07073. U.S.A.*

**ქირავდება 4930 $მ^2$ ფართი, საოფისე ფართი 230 $მ^2$, 3300 $მ^2$ ეზოთი, 800 $მ^2$ სასაწყობო ფართით, 600 $მ^2$ საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

# იტალიაზე შეყვარებული

## კრესპო "სან სიროს" დაუბრუნდა

მარი ჭავახიშვილი

ერნან კრესპო ყველაფერზე თანახმა იყო, მათ შორის ხელფასის შემცირებაზეც, ოღონდ ლონდონის "ჩელსი" თანახმა ყოფილიყო მის გაშვებაზე.

როგორც იქნა, ფეხბურთელის სურვილი დაკმაყოფილდა - ლონდონელებმა არგენტინელი ისევ იქ გაუშვეს, საიდანაც სამი წლის წინ თავად შეიძინეს. საუბარია მილანის "ინტერზე", რომელთანაც კრესპომ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა თუ "არისტოკრატებს" მოესურვებათ, 2006-07 წლების სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთელს კვლავაც "სტემფორდ ბრიჯზე" დააბრუნებენ.


კრესპო "ინტერმა" წაიყვანა.

2003 წლის აგვისტოში რომან აბრამოვიჩმა არგენტინელის სანაცვლოდ "ნერიაძურის" ხელმძღვანელობას 16,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჩაუთვალა. თუმცა, ფეხბურთელმა ვერაფრით ვერ მოიკიდა ფეხი ლონდონური კლუბის შემადგენლობაში და მას მერე სულ უკმაყოფილო იყო "ჩელსიში" თამაშით. ახლა კი, როცა "სტემფორდ ბრიჯზე" "მილანის" ექსთავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო მივიდა, ცხადი გახდა, რომ კრესპოს ადრინდელზე უფრო ხშირად მოუწევდა სკამზე ჯდომა. ამიტომაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - მილანის "ინტერში" გამიშვითო.

ცოტა ხნის წინ ერნან კრესპომ იტალიის მოქალაქეობა მიიღო და ამან კიდევ უფრო გაუმძაფრა სერია ა-ში თამაში სურვილი.

"იტალიაზე უგონოდ ვარ შეყვარებული. ამ ქვეყანასთან ბევრი დაუვიწყარი მოგონება მაკავშირებს. ფული და წარმატება არაფერ შუაშია. ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ისევ "სან სიროზე" დავბრუნდე. იტალია ის ადგილია, სადაც ცხოვრებით და თამაშით ბედნიერი ვარ. პენსიაზე გასვლასაც სწორედ აპენინებზე ვაპირებ", - ამბობდა არგენტინელი.

იტალიასთან ერნან კრესპოს მართლაც ბევრი მოგონება აკავშირებს. მისი საფეხბურთო კარიერა, თუ მშობლიურ "რივერ პლეიტსა" და "ჩელსის" არ ჩავთვლით, ძირითადად აპენინზე მიმდინარეობდა.

2000 წელს, როცა "ლაციომ" მის სანაცვლოდ "პარმას" 36,5 მილიონი დოლარი გადაუხადა, არგენტინელი თავდამსხმელი მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი შეიქნა.

სამი წლის წინ კი, როცა "ინტერში" გატარებული ერთი წლის შემდეგ "ჩელსიში" აღმოჩნდა, კრესპო ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ მისი ლონდონური კარიერა ასე ცუდად წარიმართებოდა. ტრავმის გამო პირველივე სეზონი ჩაუვარდა - მხოლოდ 19 შეხვედრა გამართა, თუმცა ათი გოლის გატანა მაინც მოახერხა. სეზონის ბოლოს, მოულოდნელად, ისევ "სან სიროზე" დაბრუნდა. ამჯერად იჯარის წესით "მილანში" აღმოჩნდა. აპენინებზე დაბრუნებული ფიქრობდა, რომ ფორტუნა ახლა მაინც იქნებოდა მის მხარეზე. თუმცა, ბრიტანული წარუმატებლობა ყველგან თან სდევდა - ჩემპიონთა ლიგის ფინალში "მილანს" თითქმის მოგებული თასი "ლივერპულმა" აართვა.

2005-06 წლების სეზონის გატარებას კრესპო ისევ "შავ-წითელთა" შორის აპირებდა, თუმცა "ჩელსის" თავკაცის ჟოზე მოურინიოს მოთხოვნით ნისლიან ალბიონზე დაბრუნება მოუხდა.

ყველაფერი იმაზე უკეთ დაიწყო, ვიდრე თავად ფეხბურთელი იფიქრებდა: პირველივე ტურში "უიგანთან" შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანა გოლი. თუმცა მოგვიანებით ისევ პორტუგალიელი სპეციალისტის მსხვერპლი აღმოჩნდა - გაურკვეველი მიზეზების გამო მოედანზე იშვიათად უწევდა გამოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ სათადარიგო ფეხბურთელი იყო, ათი გოლის გატანა მაინც შეძლო, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია ისეთი ჩემპიონატისთვის, როგორიც ინგლისური პრემიერლიგაა. თუმცა, ერნან კრესპოს უფრო მეტი უნდოდა. ამიტომაც იყო, რომ 31 წლის ფეხბურთელმა "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა აღარ ისურვა და უსაქმურობას ხელფასის შემცირება ამჯობინა.

# სამოქალაქო რეესტრის სააგენტო აცხადებს ტენდერს საოფისე ავეჯის შესყიდვაზე

ქ. თბილისი, ვანის ქ.N4

| | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დახლი მსადგმელი მაგიდით | ცალი | 78 | მოთხოვნის შესაბამისად, თბილისში და რეგიონებში | მოთხოვნის შესაბამისად. |
| 2 | 1. კარტოთეკის კარადა<br>2. კარტოთეკის კარადის რემონტი | ცალი<br>ცალი | 500<br>180 | "------------" | "----------" |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **არა უგვიანეს 2006 წ. 30 აგვისტოს 18 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), ვანის ქ. N4, II სართული, შესყიდვების სამსახურის ოთახში ტელ. 34-07-01.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;

2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, ვანის ქ.N4

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტები:**

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს. ტელ - 34-07-01, 8 (95) 58-11-22 ვანის ქ. N4,

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





### "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**



### სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**